სექტემბერი
1936 წ.
№ 127

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
SEPTEMBRE
1936—№ 127

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ბოლშევიკური ბოლო.
ბ. არიძე—საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია.
ილ. ნუცუბიძე—კართაგენი უნდა დაინგრეს.
ალ. ასათიანი—წერილები იტალიაზე.
Stanislaw Ziemiak—რა მოაქვს დღეებს.
დ. შ. პოლონური პრესა.
ნ. ი. მსოფლიო ბოლშევიზმი.
ნაური—წერილი ამერიკიდან.
კავკასიის დელეგაცია კრაკოვში.
დ. ხ.—სიკო ალიმბარაშვილი. და სხვ.

ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი ბ ო ლ ო

ერთი თვეა, რაც ლუბიანკას ეზოში «ბოლშევიკურად» დახვრიტეს თვით ბოლშევიზმის პირველი გმირები ზინოვიევი, კამენევი და 14 სხვა. და ჯერ კიდევ ვერ მიუგნიათ უცხოეთში ამ მკვლელობის მიზეზისთვის. ერთი ასახელებს ახლად მოზღვავებულ ტალღას ტეროორიზმისა ზევიდან, შიში და ზარი რომ ჩაუნერგონ დიქტატურის მტრებს, განსაკუთრებით მოსწავლე ახალხასდობას, რომელშიც თავს იჩენს ტეროორისტული მიდრეკილება; მეორე—სამზადისს ახალი კონსტიტუციის მიღების წინ, რათა სტალინს, «ტახტზე ასვლის დროს», ლენინის უახლოესნი თანამშრომელნი არ აეყუდონ სინიდისის მხილებელ აჩრდილად; მესამე კიდევ იმას ამბობს, რომ ამ აქტით სტალინს სურდა, საგარეო გართულების გამო, ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო იმ ხმებისთვის, ვითომ ის განაგრძობს დამრღვევ მუშაობას «მოკავშირე და მეგობარ ქვეყნებში».

რომელია ამ მიზეზებში სწორი ან მრუდე? შეიძლება სხვა მიზეზებიც იყოს, მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ საბჭოთა სამფლობელო დღესაც, ისე როგორც 19 წლის წინ, ერთგვარ სფინქს წარმოადგენს უცხოეთისთვის, და განა მარტო ეს ფაქტი იმის მაჩვენებელი არაა, რამდენად უკანაა გადატყორცნილი ხმელეთის მეექვსედი თანამედროვე დაწინაურებულ ცხოვრებიდან? თუ ერთ დროს ჩინეთის მაღალ კედლებზე ლაპარაკობდენ, ეხლა მხოლოდ საბჭოთა კავშირი გახდა ასეთ დახურულ ქვეყნად, საიდანაც ერთ სწორ ამბავს ვერ გამოაპარებთ და ვერც იქით შეაპარებთ. ამავე დროს გამუდმებით გესმით ბაქიობა უმაღლეს მიღწევებზე ყოველ დარგში, ყოველ სფეროში! განა, მართლა რომ ასე იყოს, თვით დიქტატურისთვის არ იქნებოდა უკეთესი, სხვებსაც ენახათ თავის თვალით ეს სასწაულებანი? მაგრამ მას ეშინია, არ იკარებს უცხოელ მოწმეს და მით ამტკიცებს, თუ რამდენად მახინჯია და საზარელი მისი სახე და საქმიანობა.

მით უარესი უცხოეთისთვის!—ვიტყოდით ჩვენ. რამდენი ანრი ბარბიუსები და ანდრე ჟიდები არ მოგვევლინა ამ ათეულ წლებში, ვინც მედიდურად ამტკიცებდა, საბჭოთა კავშირი სამაგალითო ბაღნარია დაბერებულ ევროპასთან შედარებით, ნამდვილი მიწიერი სამოთხეაო! დარბაისელი სახელმწიფო მოღვაწეებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდენ საბჭოთა მთავრობის ცნობაში, მის წარმომადგენელთა რაც შეიძლება უკეთ მიღებაში, მათთან ხელშეკრულებათა დადებაში. მსხვილი მრეწველებიც და ბანკები თავის ცდას არ აკლებდენ, რათა მარდად ჩაეტარებინათ მოსკოვიტებს გამანადგურებელი ხუთწლედები და შეიარაღების ისეთ ხარისხამდის მიეღწიათ, რომ ეხლა თვითონ ისინი, ვინც ამას ხელს უწყობდა, კვირვობენ და ეშინიათ, ვაი თუ ეს იარაღი ჩვენს წინაამდეგ მოატრიალონო.

როცა გესმით ნიურნბერგის ნაზისტურ ყრილობიდან გაფრთხილება საბჭოთა უაღრეს შეიარაღე-

ბაზე, კვიროობთ, რომ ივიწყებენ გერმანიის მთავარ როლს ამ საქმეში. განა გერმანიის მანქანები და სპეცები არ იყვენ, ვინც «გიგანტები» აუშენა მოსკოვს?

მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ეს გაფრთხილება ერთგვარი ხერხია დასავლეთში შთაბეჭდილების მოსახდენად. გახსოვთ, ლოკარნოს ხელშეკრულების ცალმხრივი გაუქმება, რენანიის დაკავება და ბოლოს სამხედრო ბეგარის ორი წლით გაგრძელება ჰიტლერმა იმით ახსნა, რომ საბჭოთა სამხედრო ძალის ვეება გაზრდა და რუსეთ საფრანგეთის პაქტი გერმანიისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენსო. რა თქმა უნდა, სულ წინაამდეგია მართალი! თუ შიშზე მიდგა საქმე, მოსკოვი ვერავის დაუთმობს ამაში უპირატესობას. ვოროშილოვის სიტყვები ბელორუსიის აღლუმებზედ ცხადჰყოფს, რა შიშის ქრუანტელი უვლის ტანში კრემლის ვაჟბატონებს: ვინც გაბედავს ჩვენზე გამოლაშქრებას—იმეორებს წითელი მარშალი—, მეხივით თავს დავატყდებითო. როცა სარდალი ყოყოჩობს, ეს მოასწავებს მხოლოდ მის სისუსტეს.

ძლიერს არ სჩვევია ეს. შეხეთ ჰიტლერის გერმანიას, ეხლა მხოლოდ მის ძლიერებაზე ლაპარაკობენ ევროპის ყველა სატახტო ქალაქებში, კილოც შესცვალეს მის მიმართ, მოკრძალებით ედავებიან. ვის ახსოვს ვერსალის ზავი, გერმანიის სამუდამო განიარაღების მუხლები! პუანკარე და კლემანსო უეცრად რომ აღსდგენ, სრულიად ვერ იცნობდენ მათ მიერ გადამიჯნულ ევროპას; თვით ლოიდ ჯორჯიც, მათი პარტნიორი და ვილსონის ზავის გამბათილებელი, გერმანიაში «ტურისტობს», რათა ხვალინდელ ევროპის ბედისწერა გამოიკვლიოს. გერმანიას დღეს არც კი ეჭვირება ომი ზოგიერთ ისეთ საქმის მოსაგვარებლად, რომელიც კიდევ გუშინ მრისხანე ვეტოს და მობილიზაციას გამოიწვევდა «გამარჯვებულთა» მხრით». გაიხსენეთ ავსტრიის კანცლერ შუშნიგის ფიურერთან ხლება და მორჩილების პირობაზე ხელის მოწერა.

მაშასადამე, ნიურნბერგის ჩივილი წითელ ჯარების საშიშროებაზე ნამდვილად გერმანიის უძლიერეს სახელმწიფოდ მოვლინების ისტორიულ თარიღს აღნიშნავს. ურალი, ციმბირი, უკრაინა ჩვენს ხელში რომ იყოს—გაისმა ამ ქალაქიდან,—გიჩვენებდით, თუ რა სასწაულებს მოვახდენდითო! უფრო აშკარად არ შეიძლება გამოთქმა, საითკენაა გერმანელ ერის დინამიზმი მიმართული. ბოლშევიზმი—აი რაა ევროპის მამაკვდინებელი მტერი! და ჩვენი უდიდესი მოწდდება მის პირქვე დამხობაში მდგომარეობსო—გაისმა იქიდანვე.

ეხლა შეადარეთ ამ ლოზუნგებს, რაც ხდება ისპანიაში, სამოქალაქო ომს, რომლის ფორმალური დამწყები გენერალი ფრანკოა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ფაქტიურად ის გამოიწვიეს სტალინის აგენტებმა, რომელნიც არაფერს ერიდებოდენ დემოკრატიულ რესპუბლიკის დასასამარებლად.

და ეს მთლად აშკარად გამოჩნდა კომუნისტების «აბრუნდით» საფრანგეთში. ისინი უკვე მტროობენ აქ ხალხოსნურ ფრონტს, წარმოისროლეს ფრანგთა სამღვთო კავშირი, რატომ? იმიტომ, რომ გამოიწვიონ ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის და მით თავიდან ააცილონ «ერთად ერთ სოციალისტურ სამშობლოს» უკანასკნელის რისხვა. სტალინი მოდის «ვა-ბანკზე». ვინაიდან ლიტვინოვის დამზღვევი პაქტები არა სჭრის, მისთვის უკვე არაა საინტერესო საფრანგეთის სამხედრო ძლიერება. პირიქით, წითელმა დიქტატორმა კარგად იცის, რომ ომი დასავლეთში არა თუ გადაარჩენს მის სამფლობელოს, არამედ, შეიძლება, უკანასკნელის საზღვრები სენის პირამდე მიიტანოს მან. მას სურს დააყივლოს წითელ მამალს, იცის, პარიზი ამის ჩვეულია, და თუ გაიხსენებთ სტალინის ნაცვალის ტორეზის გავლენას აქაურ მუშებზე, ეს არც ისე ცალიერი დამუქრებაა.

სდგება გადამწყვეტი წუთი დაპირდაპირებისა ბერლინსა და მოსკოვს შორის და ევროპას თითქო სხვა გზა არ დარჩენია, გარდა ერთი მათგანის არჩევისა. საფრანგეთმა თითქო მოსკოვი აირჩია, მაგრამ გახსოვთ ლავალის რეზერვები, რომელიც კარს ღიად სტოვებდა გერმანიისთვის. ბლუმის მთავრობამ ერთი ნაბიჯიც წადგა წინ ლონდონის წინადადების მიღებით: ლოკარნოელ ხუთ სახელმწიფოს უპირობოთ მოწვევა, რაზედაც ბერლინმა და რომმა თანხმობით უპასუხეს. მეორეს მხრით, იგივე ბლუმის მთავრობა თაოსნობს ისპანიის საქმეებში ჩაურევლობას და ამაზეც დასტურს იღებს. მაშასადამე, ისევ წესრიგშია დასავლეთის დაზავების კითხვა, უწინარეს ყოვლისა.

მაგრამ უკანასკნელად ამას დაემატა ორი დიდი ფაქტი. პირველი, მთავარ სარდალთა გამელენ და რიდზლ-სმიგლას დარბაზობა და ზეიმი პოლონეთსა და საფრანგეთში. განახლდა ამ ორ ერთა სამხედრო კავშირი, რაიცა არაფრით არ სცვლის ვარშავა ბერლინის მეგობრულ დამოკიდებულებას. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ პარიზი ვარშავის გზით აპირებს ბერლინთან მორიგებას? სიმბოლიურია ამ მხრით საფრანგეთის საგარეო მინისტრის ბასტიდის ჯერ ვარშავაში ჩასვლა და შემდეგ ბერლინში. განა

არ გაგონდებათ ჩვენებური ანდაზა: ყური სად გაბიაო?!

მეორე ფაქტი, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო, არის ინგლისის მეფე ედუარდ მერვის სტამბოლში ჩასვლა და პრეზიდენტ ათა თურქთან დარბაზობა. ახალგაზდა მეფე თითქო ლამობს მის პაპის ედუარდ მეშვიდის დიპლომატიური მუშაობის განგრძობას. სრუტეების ახალი კონვენციით საფუძველი ჩაეყარა, როგორც წინა ნომერში ვსთქვით, ინგლის ოსმალეთის დამეგობრებას. ამიტომ ნაადრევი იყო მოსკოვის სიხარული, მაგრამ დღეს ის ნამდვილ გლოვად იქცა. ხუმრობა როდია, ერთად ერთი მეგობარი და მოკავშირე ხელიდან ეცლება!

ამდენია ნიშნები, სიპტომები, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ არ იძლევა მთელი ამ პროცესის უბორძიკოდ ჩატარების გარანტიას, მაგრამ მოსკოვს უკვე რეტი ესხმის, გაშმაგებულია. ნუ დაივიწყებთ, მას შორეულ აღმოსავლეთიდანაც მოელის საფრთხე; საგულისხმიეროა ერთ ინგლისურ გაზეთში მოთავსებული ცნობა: იაპონია საცაა დაასრულებს სტრატეგიულ გზების და ანგარების აშენებასო...

ასეთ პირობებში სულაც არაა გასაკვირი, სტალინის ბრძანებით, ლენინის უახლოეს თანამშრომელთა დახვრეტა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა დასავლეთის ზიზღი აღმოსავლეთის დიქტატურისადმი. სტალინმა დაარღვია «დიდი მასწავლებლის» მთავარი მცნება: არ დაღვაროთ ერთმანეთის სისხლი! მაგრამ, ლენინი რომ ცოცხალი იყოს, განა თვით მას დაინდობდა «გენიალური მოსწავლე»? განა არ აგზავნიებს მის ქვრივს წყევლა-კრულვას დასჯილებისთვის?

არიან მწერლები, ვინც ადარებენ მოსკოვის ამბებს დანტონისა და ებერტისტების ეშაფოტზე ასვლას, და დასძენენ სტალინსაც რობესპიერის ხვედრი მოელისო. ანალოგია სწორია, იმ ერთი განსხვავებით, რომ ბოლშევიკური ტეროორი, დაწყებული ეკატერინობურგის ტრაგედიიდან, გაცილებით უფრო მხდალია, ლაჩარი, ვერაგი.

და ეს კი მოასწავებს მტარვალთა ცხოველურ შიშს ხალხის რისხვის წინაშე. თუ უცხოელებმა არ იციან, ჩვენ ხომ ვიცით, რომ თვით საბჭოთა კავშირში მზადდება და მწიფდება ერთა სტიქიური გამოსვლები.

ჩვენ არ ვიცით, საიდან დასჭექს პირველად, გარედან თუ შიგნიდან, მაგრამ ერთს მეხს რომ მეორე მოჰყვება, ეს უკვე არ არის არავისთვის საეჭვო. ეს იცის ზედმიწევნით სტალინმა, ამიტომ დაჰკარგა მან წონათსწორობა, ყოველ ნაბიჯზე მკვლელი ელანდება, როგორც ოდესმე ბორის გოდუნოვს... ცხადია, ის გაათავებს «რუსულად—ბოლშევიკურად», რაიცა იმავე რობესპიერის ხვედრია ბოლოს და ბოლოს.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია

მიმდინარე წლის ივნისში საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ახალი კონსტიტუციის პროექტი. თუ კომუნისტურ პრესას დავუჯერებთ, მთელ მსოფლიოში ამ კონსტიტუციის შესადარი არაფერი მოიპოვება. ამის დასამტკიცებლად კომუნისტური გაზეთები ბეჭდავენ ურიცხვს რეზოლიუციებს, რომლებშიაც გამოთქმულია ქვეყნის მეექვსედი ნაწილის მოსახლეობის აღტაცება და უსაზღვრო სიხარული: მუშა და გლეხი, კომუნისტი და «უპარტიო ბოლშევიკი», მეცნიერი და უბრალო მოხელე, ქალი და კაცი, დიდი და პატარა—ყველანი სიხარულით ცას წვდებიან და ფიანდაზად ეგებიან «გენიოსს» სტალინს, მთელ მსოფლიოს «ჩაგრულთა წინამძღოლს».

კონსტიტუციის პროექტს გამოეხმაურა უცხოეთის პრესაც. არ შეიძლება ითქვას, რომ მას აქ კარგი პრესა ჰქონოდეს: იგი შეაქეს მხოლოდ კომუნისტურმა გაზეთებმა, ხოლო პრესის გავლენიანმა ნაწილმა და განსაკუთრებით სოციალისტურმა გაზეთებმა დიდი იჭვის ქვეშ დააყენეს ამ პროექტის დემოკრატიულობა. მიუხედავად ამისა, ერთ ნაწილს ეგ პროექტი მაინც მიაჩნია დემოკრატიისაკენ გადადგმულ თვალსაჩინო ნაბიჯად და მისგან რაღაც სიკეთეს გამოელის. ასეთი ილიუზია სრულიად უსაფუძვლოა.

ჩვენ კარგად ვიცნობთ სტალინის დიქტატურის ხასიათს და ვერ დავიჯერებთ, რომ ამ დიქტატურას შეეძლოს ევოლუციონური გზით დემოკრატიულ რეჟიმად გარდაქმნა. კომუნისტურ დიქტატურისთვის კონსტიტუცია მხოლოდ ქვეყნის მოსატყვილებელი ნიღაბია და არა ის ძირითადი კანონი, რომლის დანიშნულებას უნდა შეადგენდეს ქვეყნის ყოფა-ცხოვრების მოწესრიგება და მისი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. კომუნისტურ ხელისუფლებას კი აინტერესებს თავისი მდგომარეობის განმტკიცება, თავისი ბატონობის გამაგრება და მის მიერ შეთხზული ახალი კონსტიტუციის პროექტიც არსებითად მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება. იმავე დროს ეგ პროექტი საუცხოო ნიმუშია საყოველთაოდ ცნობილ ბოლშევიკური თაღლითობის. მის პოლიტიკურ ნაწილში ჩამოთვლილია ყველა სახის თავისუფლებები: სარწმუნოების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვის, ბეჭდვის, კრებებისა და მიტინგების; ხელშეუხებელია მოქალაქის პიროვნება და მისი ბინა, დაცულია მიწერ-მოწერის საიდუმლოება; გამოცხადებულია ყოველი მოქალაქის თანასწორუფლებიანობა მიუხედავად ეროვნებისა და რასისა; შემოღებულია საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნები, დაშვებულია პროფესიონალურ კავშირების და სხვადასხვა მიზნის საზოგადოებების დაარსება და სხვა. ყოველივე ეს უაღრესად დემოკრატიულ კონსტიტუციის აუცილებელი ელემენტებია, მაგრამ კომუნისტური კონსტიტუციის პროექტი მასში ჩამოთვლილ ყველა ამ თავისუფლებებს ერთი კალმის მოსმით აბათილებს: ნებადართულია მხოლოდ ერთად ერთი კომუნისტური პარტიის არსებობა; ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში ასარჩევ კანდიდატების დასახელების უფლება ეძლევა მხოლოდ კომუნისტურ პარტიას და იმ ორგანიზაციებს, რომელნიც კომუნისტურ პარტიის კანტროლის ქვეშ იმყოფებიან. გავიხსენოთ აქვე გაზ. «პრავდა»-ს განმარტება, რომ «ბურჟუაზიულ და მენშევიკურ-ესერული მწერლობა სამუდამოდ აღმოფხვრილია ჩვენში. თავისუფლება მყარდება არა ბურჟუაზიის გადარჩენილ აგენტებისათვის. ვინც ფიქრობს შეარყიოს სოციალისტური წყობილება,—ის ხალხის მტერია. ის ვერ მიიღებს ერთ ნაგლეჯ ქაღალდს, ვერ შევა ვერც ერთ სტამბაში, ვერ მიიღებს ვერც ოთახს, ვერც ერთ კუთხეს, რომ ზეპირად მაინც გაავრცელოს თავისი საწამლავი». თუ ყოველსავე ამას ვიქონიებთ მხედველობაში, ცხადი იქნება, თუ რა უსირცხვილო დაცინვას წარმოადგენს პროექტში ჩამოთვლილ თავისუფლებათა ხარტია.

მაშასადამე თავისუფლებები წესდება მხოლოდ კომუნისტურ პარტიისათვის; მაგრამ ვინც იცნობს ამ პარტიის წყობას და შიგ გამეფებულ წესებს, უდაოდ დაგვეთანხმება, რომ იგი,—ე. ი. კომუნისტური პარტია,—მონური ამსრულებელია ზევიდან წარმოგზავნილ ყოველი ბრძანების. პარტიის სადავე ხელში უკავია ყოვლად შემძლე სტალინს. უკანასკნელი გამოცხადებულია უცოდველ ზეკაცად, გენიოსთა შორის უდიდეს გენიოსად, ბრძენთა შორის პირველ ბრძენად. ის კომუნისტი, რომელიც გაბედავს სავსებით და უკრიტიკოდ არ გაიზიაროს სტალინის მოცემული გენერალური ხაზი, ამ ქვეყნიურ ყოველივე უბედურებას დაიტეხს თავს: მას გამოაცხადებენ კომუნიზმის მოღალატედ, კონტრ რევოლუციონერად, გესტაპოს აგენტად, ტეროორისტად და სხვა. ამის უდაო საბუთს იძლევა თექვსმეტთა პროცესი კამენევ-ზინოვიევის მეთაურობით. არავისთვის სადავო არ არის, რომ კომუნისტურ პარტიაში არ არსებობს აზრისა და სიტყვის თავისუფლება, არ არსებობს კოლექტიური პარტიული აზრი და შეხედულება; არსებობს მხოლოდ ცეკას გენერალური მდივნის აზრი და ბრძანებები, რომელსაც უსიტყვოდ ასრულებენ ადგილობრივი პარტკომების მდივნები. პარტიული მასა ვალდებულია კვერი-დაუკრას გენერალურ მდივნის აზრს და ყოველ სიტყვის მობრუნებაზე ქება-დიდება შეასხას სტალინს

მაშასადამე კონსტიტუციის პროექტში აღიარებული თავისუფლებები უკლებლივ რჩება მას, ვინც კომუნისტურ დიქტატურას ანხორციელებს პიროვნულად.

როგორც ზევით აღვნიშნეთ სადეპუტატო კანდიდატებს ყველა საფეხურის საბჭოებში და საკანონმდებლო ორგანოებში ასახელებენ კომპარტიის, ან ამ უკანასკნელის კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები. აქედან ცხადია, რომ არჩეული იქნებიან უმთავრესად ას პროცენტიანი სტალინელი კომუნისტები და აქა იქ ის უპარტიო ბოლშევიკები, რომელნიც სტალინის გენერალურ ხაზს სავსებით იზიარებენ. კონსტიტუციის პროექტი ამითაც არ კმაყოფილდება და ამრჩევლებს ანიჭებს დეპუტატის გაწვევის უფლებას. ასეთი რამ შეიძლება მიზანშეწონილი და სასარგებლო იყოს იქ, სადაც მართლაც დემოკრატიული რეჟიმია და ამრჩევლები თავისუფალნი არიან კანდიდატის დასახელებაში; საბჭოთა კავშირის სინამდვილეში კი ეს ერთი ზედმეტი გარანტია იქნება იმის, რომ არჩეულმა დეპუტატმა ოდნავი დამოუკიდებლობაც კი ვერ გამოიჩინოს და ვერ გაბედოს რაიმე ოპოზიცია გაუწიოს დიქტატორს. წინაამდეგ შემთხვევაში საარჩევნო ოლქის პარტკომები სასტიკ ბრძანებას მიიღებენ ცეკასგან გაწვეულ იქნას არასასურველი დეპუტატი და მის ადგილას აირჩიონ ის, ვინც ხელისუფლეაას ეპრიანება. გადამჭრელ როლს ამ შემთხვევაშიაც დღევანდელი გენერალური მდიენი ითამაშებს. ზემო ნათქვამი ნათლად ამტკიცებს, რომ კომუნისტური არჩევნები გულუბრყვილოთა მოსატყვილებელი კომედიაა: სინამდვილეში ეგ არჩევნები წარმოადგენს დეპუტატების დანიშვნას ხელისუფლების მიერ. თუ რა კონტროლს გაუწევენ ასეთი წესით «არჩეული» დეპუტატები ხელისუფლებას, ამას მკითხველიც ადვილად მიხვდება.

ჩვენ ამ წერილში არ შევეხებით იმ ეკონომიურ სისტემას, რომელიც უკვე არსებობს საბჭოთა კავშირში და რომლის დადასტურებას იძლევა კონსტიტუციის ახალი პროექტი,—ამ საკითხს ჩვენი გაზეთი ცალკე წერილს უძღვნის. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს ეკონომიური სისტემა, რომელსაც პროექტი სოციალისტურ მეურნეობას უწოდებს, არსებითად წარმოადგენს უცუდესი ფორმის სახელმწიფო კაპიტალიზმს. ხელისუფლება ყოველგვარ საშვალებით ძარცვავს როგორც მუშას და გლეხს, ისე სხვა სოციალურ მდგომარეობის მოქალაქეებს. ეროვნულ მეურნეობის მიერ შექმნილ დოვლათიდან მას მიაქვს რამდენიც მოეპრიანება, დოვლათის შემქმნელთ კი იმდენს უტოვებს, რომ შიმშილით სული არ ამოხდეს.

ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პროექტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირში გამომწყვდეულ ერების უფლებებს. პროექტის მეცამეტე მუხლი გვავუწყებს, რომ «საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი არის საკავშირო სახელმწიფო, შემდგარი ნებაყოფლობის საფუძველზე გაერთიანებულ თანასწორ უფლებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებისაგან...»; ქვევით ჩამოთვლილია თერთმეტი რესპუბლიკა. აქ აღნიშნული «ნებაყოფლობა» არის ყოველივე წრეს გადასული კომუნისტური თაღლითობა, მოურიდებელი უსირცხვილობა. ვინ არ იცის, რომ ჩამოთვლილ რესპუბლიკების უმრავლესობა ცეცხლითა და მახვილით არის დაპყრობილი და ძალით შეთრეული საბჭოთა კავშირში? ერთი მათგანის—საქართველოს—სრული დამოუკიდებლობა იურიდიულადაც იყო ცნობილი მოსკოვის მიერ; მაგრამ მან უტიფრად გასთელა ფეხქვეშ თავისი ცნობა, დახია მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება და ომის გამოუცხადებლად შემოესია თავისუფლების მოყვარულ ქვეყანას; დაიპყრო იგი, ჩააყენა შიგ თავისი ჯარები, დაუნიშნა მის აგენტებისაგან შემდგარი საოკუპაციო ხელისუფლება, გაძარცვა, გაჩანაგა და საბჭოთა კავშირს შეუერთა. ქართველი ხალხი არ შერიგებია და არც არასოდეს შეურიგდება მის დღევანდელ მონობას. იგი მედგრად ებრძვის საოკუპაციო ხელისუფლებას; უამრავი მსხვერპლი შესწირა განმანთავისუფლებელ ბრძოლას და განაგრძობს მას, სანამ არ აღიდგენს თავის შელახულ ეროვნულ უფლებას, არ დაიბრუნებს დაკარგულ დამოუკიდებლობას. კომუნისტური კონსტიტუციის პროექტი ამას უწოდებს «ნებაყოფლობის საფუძველზე გაერთიანებას».

პროექტის მეჩვიდმეტე მუხლი მოკავშირე რესპუბლიკებს ანიჭებს კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლებას. რომ ეს უფლება ფიქცია არ იყოს, საბჭოთა კავშირში ძალით შერეკილი არა რუსი ერები თავისუფლად ამოისუნთქავდენ; მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ პროექტის ავტორები, როგორც ყოველთვის და ყოველგან, აქაც თაღლითობენ. 1924 წელში ქართველი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და აჯანყება მოაწყო. ამ უკანასკნელის მიზანი იყო ხიშტებით თავზე მოხვეულ კავშირიდან გასვლა და თავის საკუთარ დამოუკიდებელ ფეხზე დადგომა. ამ ცდის შედეგი მთელმა ქვეყანამ იცის: აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს, საუკეთესო მამულიშვილები ათასობით დახვრიტეს გაუსამართლებლად და განუკითხავად. ამის შემდეგ აბა ვინ დაიჯერებს, რომ კომუნისტური ხელისუფლება რომელიმე ერს ხელს შეუშვებს და კავშირიდან გასვლის ნებას დართავს? *)

პროექტის მიხედვით კავშირში შემავალ ერებს თავისი ადგილობრივი მთავრობები ყავთ და მართვა-გამგეობის თავისი უმაღლესი ორგანოები აქვთ, მაგრამ ყველა ამათ თავზე აზის კავშირის ხელისუფლება. პროექტის მეთოთხმეტე მუხლში ჩამოთვლილია საკავშირო ხელისუფლების პრეროგატივები; საკმარისია ეგ მუხლი ზერელედ გადაიკითხო, რომ დარწმუნდე თუ რა ზომ შეზღუდულია კავშირში შემავალ რესპუბლიკების და მათი სახალხო კომისარიატების უფლებები. უკანასკნელთ იმის უფლებაც კი აქვთ წართმეული, რომ საკავშირო ხელისუფლების ნებადაურთველად და კვერის დაუკრავად რაიმე გადასახადი დააწესონ ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამ რესპუბლიკების სახალხო კომისრები ემორჩილებიან არა მარტო თავის ქვეყნის კომისართა საბჭოს, არამედ აგრეთვე კავშირის სათანადო კომისარს, ე. ი. კავშირში შემავალ რესპუბლიკის სახალხო კომისარს ორი მბრძანებელი ყავს; ამ ორიდან უპირატესობა ეძლევა კავშირის სახალხო კომისარს. აქედან ცხადია, რომ ეგ უკანასკნელი არის არაპირდაპირი მბრძანებელი ადგილობრივი სახალხო კომისართა საბჭოსიც: თუ მას არ მოეწონა რომელიმე რესპუბლიკის კომისართა საბჭოს დადგენილება, იგი ამ დადგენილების შემსრულებელ სათანადო კომისარს აუკრძალავს მის სისრულეში მოყვანას.

ყველა რესპუბლიკების სასამართლოები ემორჩილება კავშირის უმაღლეს სასამართლოს; რესპუბლიკებს იმისი უფლებაც კი აქვთ წართმეული, რომ თავისი ქვეყნის პროკურორები თვითონ დანიშნონ. მოკლედ რომ მოვჭრათ, საქართველოში დამოუკიდებლობის დროს სამაზრო ერობების გამგეობებს და ყრილობებს გაცილებით უფრო მეტი უფლებები ჰქონდათ, ვინემ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი აწესებს ცალკე რესპუბლიკების მთავრობებისათვის და საკანონმდებლო ორგანოებისათვის.

თვით სახელწოდება «საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი» წარმოადგენს დიდ სიყალბეს: კონსტიტუციის პროექტი აუქმებს საბჭოების სისტემას; არც ცალკე რესპუბლიკებს და არც მთლიანად კავშირად წოდებულ სახელმწიფოს სოციალისტური არაფერი სცხია; არ არის არავითარი კავშირი, არამედ არის ერთი უაღრესად ცენტრალისტური სახელმწიფო, რომლის სათავეში სდგას უპასუხისმგებლო დესპოტიური ხელისუფლება; ეს ცენტრალისტური სახელმწიფო დაყოფილია «სანამესტნიკოს» მზგავს პროვინციებად, რომელთაც განაგებენ მთელის სათავეში მდგომ დიდი სატრაპის ადგილობრივი ნაცვლები—ფინია სატრაპები.

მოსკოვის ხელისუფლების მიერ ცეცხლითა და მახვილით დაპყრობილ ერებს, ცხადია, ვერავითარ სიკეთეს მოუტანს სტალინის კონსტიტუცია; მათი ხსნა არის მხოლოდ უცხო უღლის თავიდან მოცილებაში, რის შემდეგ თვითეული ერი თვითონ დასწერს თავის საკუთარ კონსტიტუციას.

ბ. არიძე.

---

*) კონსტიტუციის პროექტი თავშესაფარს პირდება სხვათა შორის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლისთვის დევნილ უცხოელებს; ცხადია იგი სცნობს თვითგამორკვევის უფლებას უცხო ქვეყნების დაპყრობილ ერებისთვის. ამავე დროს კავშირის კონცლაგერები სავსეა ეროვნულ თვითგამორკვევისათვის მებრძოლ გმირებით, რომელიც ამა თუ იმ ბედნიერ შემთხვევით გადაურჩენ გეპეუს პადვლებში დახვრეტას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კართაგენი უნდა დაინგრეს

ცხოვრება ულმობელია. მას თავის კანონები აქვს. ვინც ამ კანონებს წინააღუდგება, განწირულია. ბოლშევიზმი ჩვენ თავიდანვე ამ განწირულთა კათეგორიაში მოვამწყვდიეთ. და ჩვენ სავსებით მართალნი ვიყავით. მეორე ათეული წელი სრულდება, რაც ბოლშევიზმი ხელისუფლებას დაეპატრონა. დრო თვალსაჩინოა. ერთი თაობა უკვე გაიზარდა ბოლშევიკურ სინამდვილეში. დღეს ბოლშევიზმს ღრმად უნდა ჰქონდეს ფესვები გადგმული ცხოვრებაში და მისი შემდგომი განვითარება ჩვეულებრივი, ნორმალური გზით უნდა მიმდინარეობდეს. მაგრამ არა. დღეს, ისე როგორც ხელისუფლების დაპატრონებისას, ბოლშევიზმი ცხოვრებასთან სასტიკ ბრძოლაშია. ცხოვრება ბოლშევიზმს ვერ ეგუება, როგორც ცეცხლი წყალს. აქედან ცდა ცხოვრების ძალით მოდრეკისა და ყველა ის საშინელება, რაც ჩვენ ბოლშევიზმა მოგვცა. ბოლშევიზმა გაანადგურა ყველაფერი. იშვა სიცარიელე, სიცალიერე ყოველ მხრივი (პოლიტიკური, მორალური, უფლებრივი, ეკონომიური და სხვა). მაგრამ ცნობილია: ცხოვრება სიცარიელეს ვერ იტანს. მან ძალა მოიკრიფა და შეტევაზე გადავიდა. ბრძოლის ამ სტადიის დამახასიათებელი თვისებაა, რომ ახლა ბოლშევიზმი ველარ გამოდის, როგორც მონოლიტური პარტია. ბრძოლა თვით მის წიაღში გაჩაღდა. თუ დღემდის ბოლშევიზმის მსხვერპლნი იყვენ «კონტრ რევოლუციონური» პარტიები და უპარტიო მასები, დღეს თვით ბოლშევიკური პარტია განიცდის დევნას. მას დაატყდა თავს ჩეკის რეპრესიები მთელი ბოლშევიკური სისასტიკით, დაუზოგველობით.

ბოლშევიკური პარტიის კრიზისი დიდი ხანია დაიწყო. მისი გამუდმებული წმენდა ამის უტყუარი საბუთია. მაგრამ მოსკოვის პროცესი, ზინოვიევის, კამენევის და სხვების დახვრეტა უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე უბრალო კრიზისის შესახებ.

რაშია საქმე?—ბოლშევიკური ხელისუფლება გრძნობს, რომ აღსასრული მოახლოვებულია. შინ ხალხის უკმაყოფილება დღითი დღე იზრდება. ნივთიერად გაღატაკებული, მორალურად, პოლიტიკურად, უფლებრივად გაფცქვნილი, იგი ქუჩაში გამოდის და ყოფნა არ ყოფნის საკითხს ფიზიკურად სვამს. აღსანიშნავია, რომ ამ ანტიბოლშევიკურ მოძრაობის მეთაურად დღეს ახალი თაობა გამოდის, სწორედ ის თაობა, რომელიც ბოლშევიკურ სინამდვილეში გაიზარდა, მისი (ბოლშევიზმის) ყოველგვარ პერიპეტიების აქტიური მონაწილე იყო და, ბუნებრივად, საბოლოოდ მისი ბურჯი უნდა ყოფილიყო.

ნათქვამია, აკრძალული ხილი ტკბილიაო. საბჭოების სამეფოში ხომ ყველაფერი აკრძალულია, რაც ადამიანს აადამიანებს. აქედან დაუნდობელი ბრძოლა ადამიანობისათვის, თავისუფლებისათვის. საკვირველია ხელისუფლების ოდნავ წაბორძიკება, რომ მას ხალხი უმალ ქეჩოზე წამოასკუპდეს. საგარეო გართულებანი ამ მხრივ ხალხის წისქვილზე დასხამდა წყალს. ეს გართულებანიც თანდათან უფრო მწვავე და რეალ ხასიათს იღებს. ამას მოსკოვის ხელისუფლება ნათლად ხედავს. ამიტომ მან ახალი ლოზუნგები გადაისროლა ხალხში. «ინტერნაციონალიზმის» მაგივრად, «ნაციონალიზმზე, პატრიოტობაზე, სამშობლოზე» დაიწყეს ლაპარაკი, ვიწრო პარტიული ბოლშევიკების გვერდში «უპარტიო ბოლშევიკები» გააჩინეს.

ახალი კურსის მიზანი ნათელია: ხალხის გაერთიანება გარეშე საფრთხის წინაშე. მაგრამ, დახეთ უბედურებას, გაერთიანების ნაცვლად, მან სულ არია მონასტერი. პატრიოტიზმზე და სამშობლოს სიყვარულზე ქადაგებამ დაბადა ნაციონალისტური მოძრაობა. გაჩნდა პარტიაში ახალი, ნაციონალისტური ოპოზიცია უფრო ძლიერი და საშიში, ვინემ სხვა სახის ოპოზიციებია. ამ ნაციონალისტურ ტალღას თან დაერთო პარტიული ნიღილიზმი. თუ უპარტიო ბოლშევიკი ისეთ მოწონებაშია და პატივში, როგორც პარტიული, მაშინ პარტიულობას რაღა ფასი და აზრი აქვსო, იფიქრა პარტიულ დისციპლინაში ჩაჭედილმა ბოლშევიკმა და პარტიაზე გული აიცრუა. ეს ორი გარემოება: ერთი მხრით, ნაციონალისტურ ტალღის აგორება და მეორეს მხრით, თვით ბოლშევიკურ პარტიის შიგნიდან რღვევა, ცხადია, დიდ საგონებელში ჩააგდებდა კრემლის ბატონებს. დადებითი, ორგანიული ზომებით საქმის გამოსწორება შეუძლებელი იყო. ამისათვის სათანადო პირობები არ არსებობდა. დარჩა ერთად ერთი, ძველი ნაცადი გზა—ტეროორი. ხელისუფლებამაც მას მიმართა, მიუხედავად საბედისწერო შედეგებისა, რომელიც მას უნდა მოყოლოდა პარტიისა და ხელისუფლებისათვის. მოაწყვეს მოსკოვის პროცესი, დახვრიტეს პირველ რიგში ძველი ოპოზიციის მეთაურები: ზინოვიევი, კამენევი და სხვები, რომელთაც ბოლშევიკურ სახელმწიფოს შექმნაში პირველი როლი ითამაშეს.

ლენინი გადაიცვალა, ტომსკიმ თავი მოიკლა, ტროცკი კანონ გარეშეა გამოცხადებული, რიკოვი დევნილი. ასე რომ პირველ პოლიტბიუროდან მარტოღა სტალინი დარჩა. ტროცკის აზრით,—ბოლშევიზმი უკვე მოკვდა. ჩვენის ფიქრით კი იგი მკვდრად იშვა. მისი ამდენი ხნის ბოგინობა სრული ანომალიაა.

უშედეგოთ ცხოვრებაში არც ერთი მოვლენა არ იკარგება. მოსკოვის პროცესმაც თავის ნაყოფი გამოიღო. შიგნით ავადმყოფური ვითარება კიდევ უფრო დაავადა. გარეთ საბჭოების პრესტიჟს სასიკვდილო ლახვარი ჩასცა იმ წრეებშიც კი, სადაც მას დიდი სიმპატიით უყურებდენ. სანიმუშოთ მოვიყვანთ ოტო ბაუერის აზრს. ოტო ბაუერმა «Le Populaire»-ში (სოციალისტების ცენტრალური ორგანოა, გამოდის პარიზში) მოსკოვის პროცესის შესახებ მოათავსა დიდი წერილი, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: «ან მისჯილთა აღსარებანი გამოხატავენ სინამდვილეს და მაშინ რა უნდა ვიფიქროთ ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინის ამ თანამებრძოლებზე, რუსეთის რევოლუციის ამ შეფებზე და კომუნისტურ ინტერნაციონალზე, რომლებიც უყოყმანოდ გახდენ უცხო პოლიციის აგენტები და ვულგარული კრიმინელები? ისინი იყვნენ ამ შემთხვევაში მართალნი, რომელნიც ოცი წელია, რაც მათ თვლიდენ უბრალო კრიმინელთა ხროვად.

ან ეს აღსარებანი ამოგლიჯეს ძალით, შიშით გეპეუს საცოდავ მსხვერპლთ, დაქანცულთ ფიზიკურად და მორალურად და ამ პირობებში რა შეხედულება უნდა ვიქონიოთ საბჭოების სახელმწიფოს დღევანდელ ბატონებზე, თვით ამ სახელმწიფოზე, მის სამართალზე, მის პოლიციაზე, მის ზნე-ჩვეულებებზე? როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მსოფლიო სოციალიზმი ზიანდება».

ბოლშევიზმი თავიდანვე მსოფლიო სოციალიზმის და საერთოდ კულტურის უბედურება იყო. ამას ჩვენ ყოველთვის ნათლად ვხედავდით. ამიტომ ენერგიული ბრძოლა ბოლშევიზმის წინაამდეგ ერთ წუთსაც არ შეგვინელებია. დღეს ბოლშევიზმი დიდ კრიზისს განიცდის. ევროპაში ის კარგავს უკანასკნელ პოზიციებს. აღსასრულის ჟამი მოახლოვებულია. კართაგენი უნდა დაინგრეს. იგი დაინგრევა.

ვიყოთ ფხიზლად და მზად!

ილია ნუცუბიძე.

წერილები იტალიაზე

არ მოიპოება მეორე ქვეყანა, რომლის შესახებ იმდენი იყოს გამოკვლეული, შესწავლილი და დაწერილი, რამდენიც ეს იტალიაზეა. ერი, რომელიც ოდესღაც საუკუნეთა მანძილზე ბატონობდა მთელს მსოფლიოს, ბუნებრივად იპყრობდა წარსულ დროთა მკვლევარების ყურადღებას. მაგრამ რომი სავსებით არასოდეს გადასულა წარსულში არც თავისიანთა და არც სხვათათვის. ძველი რომის სახელმწიფოებრივი იმპერიის მემკვიდრეობის დიდი ნაწილი დარჩა იმავე რომს, როგორც უმძლავრესი მსოფლიო ეკლესიის სათავეს. მართალია რომაელ იმპერატორთა ლეგიონებს ხორციელად უფრო მტკიცედ ჰყავდათ დაკავშირებული რომთან მრავალნი ერნი და ქვეყანანი, ვიდრე რომაულ საეკლესიო იმპერიას, მაგრამ ქრისტეს ჯვარით აღჭურვილი რომის ეკლესიის მსახურნი დიდად გასცილდენ ძველი რომის მახვილით შემოხაზულ საზღვრებს და მთელი დედამიწის მანძილზე არ დარჩენილა ხალხით დასახლებული მტკაველი მიწა, სადაც რომაულ ეკლესიის მოციქულთა ფეხი არ დამდგარიყოს.

ამ ორი რომაული იმპერიის ამბავი ოცი საუკუნის მანძილს სჭარბობს, და მთელი ამ ხნის განმავლობაში იტალიას ცხოველი კავშირი ჰქონდა თითქმის მთელს მსოფლიოსთან. სახელმწიფოებრივსა და ეკლესიურს კავშირს თან მისდევდა ურთიერთობა კულტურული და ასევე სავაჭრო, რომლისთვისაც იტალიას განსაკუთრებულად კარგი პირობები მოეპოებოდა. ყოველივე ამის მიხედვით იტალია გადაიქცა განვლილ დროთა ნაშთების საჭურჭლედ. ყველა ხალხთა და ყველა ეპოქათა კვალი მოიპოებოდა აქ და ამათი მკვლევარნი იტალიის გზას ვერ აუხვევდენ. უცხოელებს იზიდავდა აგრეთვე ამ ქვეყნის ტურფა ბუნება და ვინც კი თავის სამშობლოს გასცილდებოდა უცხო ქვეყანათა ხილვის მიზნით, მისი გზა იტალიას იშვიათად აუხვევდა.

ყოველივე ამის მიხედვით, იტალია ყველა სხვა ქვეყნებზედ უფრო ახლო და ცნობილი იყო კულტურული ხანის მთელს მანძილზე. ამის გამო უთუოდ ბევრისთვის ფრიად გასაოცარი და მოულოდნელი იყო ის ამბავი, რომლის მოწამენი გავხდით ამ უკანასკნელ წელს. იტალია შეიჭრა მორეულს აფრიკეთის ერთს ქვეყანაში და მისი დამორჩილება განიზრახა. ასეთ განზრახვას იტალია იმით ასაბუთებდა, რომ აბაშეთის იმპერია მუდმივ თავდასხმებს ახდენდა მის აფრიკანულს კოლონიებზე და არღვევდა მასთან დადებულ ხელშეკრულობებს. მეორეს მხრივ იტალია არ ჰფარავდა, რომ ამ მცირედ დასახლებულ ქვეყნის დამორჩილება მას საშვალებას მისცემს დაკმაყოფილოს იტალიის გარდაუვალი საჭიროება—გაფართოვება მეურნეობისათვის გამოსადეგ მიწის სივრცისა. ასეთი ამბავი მრავალჯერ მოხდარა მორეულსა თუ მახლობელს წარსულში და ამავე, თუ კიდევ უფრო სუსტი დასაბუთებით. ხშირად ასეთი დავები სხვა, დაინტერესებულ სახელმწიფოთა ჩარევასაც იწვევდა, მაგრამ ეხლა ადგილი ჰქონდა ისეთს ჩარევას, რომლის მსგავსი არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. იტალიის ზრახვებმა აამხედრა და მის წინაამდეგ დარაზმა არა ერთი და ორი, ამ საქმეში უშუალო ინტერესების მქონე, არამედ 50 სახელმწიფო, რომელთა ცხრა მეათედს არავითარი ინტერესები არ ჰქონდა არც აბაშეთსა და არც საზოგადოთ, აფრიკეთში. ასეთი დარაზმულობა მოეწყო თანამედროვე ცივილიზაციის სამშობლოს წინაამდეგ და, მაშასადამე დასაცავად მისი მოპირდაპირისა, აფრიკანულ იმპერიისა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ბარბაროსულ მდგომარეობიდან. ასეთი გარემოება უთუოდ დიდად საჩოთირო იყო იტალიის წინაამდეგ შემდგარ კოალიციისათვის, მაგრამ მის საფუძვლად ის იყო გამოცხადებული, რომ აფრიკანული იმპერია ერთა ლიგის წევრი იყო და მაშასადამე ბრძოლა სწარმოებდა საერთაშორისო უფლებისა და ზავის დაცვის ნიადაგზე.

ჩვენ აქ არ ვეხებით არსებითად ამ დავას და არც მის საფუძვლებს. გვინდა მხოლოდ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ამ არაჩვეულებრივ დარაზმულობის კიდევ უფრო არაჩვეულებრივს შედეგსა და გამოძახილზე. აფრიკეთში ატეხილი ომი დასრულდა აბაშეთის ანექსიით იტალიის მიერ. ეთიოპიის იმპერატორი თავის ფეხით ეახლა ჟენევის საკრებულოს და მას დაღალატიანებისა და დაპირებათა არ შესრულების საყვედურები გამოუცხადა. ამის საპასუხოდ ერთა ლიგამ ახსნა იტალიას სანქციები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან თითქმის ნორმალური დამოკიდებულობა აღადგინა. ერთა ლიგის მეთაურნი და იტალიის წინაამდეგ დარაზმულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელ ნი და მათი პრესსა გულახდილად აღიარებენ, რომ ისინი მოტყვილდენ, შეცდენ. ამასთანავე ირკვევა, რომ ეს მოტყვილება და შეცდომა არ ეხება დავისა და მასთან დაკავშირებულ მოვლენათა რომელიმე მხარესა და ნაწილს, არამედ ყველა საკითხებსა და გარემოებებს. ირკვევა, რომ შემცდარად იყო წარმოდგენილი ნეგუსის სამხედრო ძალა, ავტორიტეტი და მთლიანად მისი იმპერიის წყობა და ბუნება. ასევე შემცდარად ყოფილა წარმოდგენილი თვით იტალიის სამხედრო, ეკონომიური და ფინანსური შესაძლებლობანი. ირკვევა, რომ შეცდენ ისინიც, ვინც ჰფიქრობდენ, რომ 50 სახელმწიფოს მუქარა ისეთს გავლენას მოახდენს იტალიაზედ, რომ საფრთხეში ჩააგდებს მის პოლიტიკურს რეჟიმს. შემცდარად ყოფილა წარმოდგენილი თვით ამ 50 სახელმწიფოს შესაძლებლობანი და მათი სანქციების ძალა. ისიც გამჟღავნდა, რომ ამ ომში სხვათა ჩარევამ ეს ომი კი არ დაამორა ევროპას, როგორც ფიქრობდენ, არამედ მას მეტად მიუახლოვდა და იყო მომენტები, როდესაც ეს ზავი ევროპაში ბეწვზე ეკიდა.

და როდესაც დღეს ასე ახდილად აღიარებენ ყველანი, პოლიტიკოსნი და მხედარნი, მეცნიერნი და ჟურნალისტები, რომ მოტყვილდენ და შეცდენ ყველაფერში, იბადება კითხვა—თუ როგორ ხდება ეს უნივერსალური შეცდომა და მოტყვილება ჩვენს დროში, როდესაც მანძილი თითქოს სრულებით აღარ არსებობს და ყველა ქვეყნები ერთ საერთო ჭერს ქვეშ მოქცეულად გვეჩვენება, როდესაც პრესის წარმომადგენელნი ისევე ოდლად დასეირნობენ ოკეანეთა გაღმა მდებარე ქვეყნებში, როგორც თავის ეზოში, და როდესაც სახელმწიფოთა მეთაურნი მეტს დროს ატარებენ სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესებზე, ვიდრე თავის სამინისტროებში? ჯერ ერთი, აბაშეთი როგორ მივიჩნიოთ ჩვენი მხედველობისთვის ამზომად მიუწვდენელ ქვეყნად ამ ავიონისა და ტეესეფის ხანაში და მით უმეტეს იტალია, რომელიც კულტურულ კაცობრიობის გულში იყო მუდამ მოქცეული და დღემდე იქიდან არსად წასულა?

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვაქვს საბაბი ვიფიქროთ, რომ ამ შეცდომათა დიდი ნაწილი სრული სინამდვილეა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ იტალიას ყველანი კარგად იცნობენ და ისე კარგად, რომ საჭიროთ არ მიაჩნდათ მისი ცხოვრების მსვლელობის დაკვირვებული შესწავლა და თვალყურის დევნება. ვინ არ იცნობს კოლიზეს, რომისა, ვენეციისა და ფლორენციის ტაძრებსა და სასახლეებს, ვინ არ იცნობს გენიალურ მხატვრებსა და მოქანდაკეთ? ვის არ უხილავს, რომი, ვენეცია თუ ფლორენცია, ვინ არ დამტკბარა ნეაპოლური ჰანგებით, ვინ არ აფასებს იტალიურ პოეზიას და მის მუსიკალურ გენიას? სხვა ქვეყნებზე უცხოელებმა ამის ნახევარიც არ იციან, და არ არის გასაკვირველი, თუ ამაზე მეტს გულისყურს აღარ უთმობენ იტალიის გაცნობას—და შესწავლას. ამით აიხსნება, რომ ნაკლები ყურადღება რჩება იტალიის ცოცხალ ცხოვრებას, ხალხს, მის აწმყო ვითარებას. რაფაელისა და ტიციანის გენიალური ტილოები ჰფარავენ უცხოთა მხედველობისაგან ცოცხალ ხალხს და იტალიის აურაცხელ მუზეუმებში თავმოყრილი მარმარილოს ქანდაკებანი ასევე ჰფარავენ მრავალ მილიონ იტალიელს, რომელნიც არა მარმარილოდან, არამედ უბრალო ქვიდან და აგურიდან უშენებენ მთელს ქალაქებს ევროპისა და ყველა სხვა კონტინენტზე მცხოვრებ ერებს.

მაგრამ ჩვენს დროში ამ მხატვრულ ფარდულებს, რომელნიც ჰფარავენ უცხოელთა მხედველობისაგან იტალიის ცოცხალ ცხოვრებას, ხალხის ბუნებასა და მის ჭირ-ვარამს, კიდევ მიემატა ახალი ფარდული ფაშიზმის სახით. ისიც ბევრს უმოკლებს და უბნევს მხედველობის სხივებს. ანტიფაშისტისათვის იტალია ჯოჯოხეთად არის გამოცხადებული. აქ გასაცნობი არაფერია, ყოველივე ნათელია და გარკვეული. უცხოელი ფაშისტი კიდევ მას სამოთხედ აცხადებს და არც ის იტეხს თავს არსებითად მის გაცნობისათვის. ამ რიგად იტალიას ეხლა კიდევ უფრო გაუმრავლდა მეთვალყურენი და მოდარაჯენი, მაგრამ თუ სხვანი არაფერს ხედავდენ იტალიის გენიის წარსულის ნაშთების იქით, ესენი თავს არ იწუხებენ, რომ თავის მხედველობის ძალა გააცილონ იტალიის ფაშისტურს სამოსელს და მის შიგნით მოთავსებულ შინაარსს გაეცნონ. რასაკვირველია იტალიას არა ასეთი ფერადი სათვალეებით მაცქერალნიც ეყოლება უცხოთა შორის, მაგრამ, როგორც სინამდვილე გვაჩვენებს, ასეთნი საკმაოდ მრავალრიცხოვანი არ ყოფილან.

ამ რიგად ჩვენ მოწამენი გავხდით იტალიის შესახებ მრავალ შეცდომისა, მაგრამ ამის მონაწილენი ჩვენ არ ვყოფილვართ. მწარე ბედის მეოხებით ჩვენი ერი საერთაშორისო ურთიერთობის გარეშეა მოქცეული და ამის გამო იტალია-აბაშეთის ომის გამო ატეხილ ამბებში მას წილი არ უდევს. ჩვენ ამ საკითხს იმისთვის შევეხეთ აქ გაკვრით, რომ ამით წინასწარ გაგვემჟღავნებინა მკითხველისათვის ჩვენი საკუთარი მიდგომა თანამედროვე იტალიის უმთავრეს მოვლენათა გაშუქების დროს. ფაშისტური თუ ანტიფაშისტური სულისკვეთებით მზერა ჩვენ ვერ მოგვცემს იტალიისა თუ სხვა ქვეყნის სწორსა და სრულს სურათს. აქ საჭიროა უწინარეს ყოვლისა სადა და შეუფერადებელი სინამდვილის აღნიშვნა და ამასთან ერთად უმთავრესის, ძირეულისა, თორემ უცხო ქვეყნის ამბის წვრილმანებით დატვირთვა ხშირად ჰფარავს და შთანთქავს მის არსებითს შინაარს.

თანამედროვე იტალიის გაცნობა ჩვენთვის მრავალმხრივ არის სავალდებულო. საქართველოს მუდმივი კავშირი ჰქონდა ამ ქვეყანასთან მრავალ საუკუნეთა მანძილზე რომის იმპერიის დროიდან დაწყებული. იგი ამ ხანად უდიდესს ეროვნულს აღორძინებას განიცდის და მსოფლიოში ერთ ერთ უდიდეს ფაქტორად ხდება. თვით ეს ქვეყანა არასოდეს ჰკარგავდა თავის მხედველობიდან ჩვენს სამშობლოს და მასთან ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობასთან ერთად მტკიცე სულიერს კავშირს ამყარებდა. რომის ისტორიკოსებს მნიშვნელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოს წარსულის გაშუქებაში და ასევე საშუალო საუკუნოების რომაულ ეკლესიას და მოგზაურებს. მართალია ასეთი კავშირი რომისა საქართველოსთან დიდად შესუსტდა უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, როდესაც საქართველომ დაჰკარგა საკუთარი სახელმწიფოებრივი მეობა, მაგრამ რომ ეს სამუდამოდ ასე არ დარჩება, ამის საბუთია ის ცხოველი ინტერესი, რომელიც გამოიჩინა იტალიამ საქართველოს მიმართ მისი დამოუკიდებლობის აღდგენის ხანაში.

ყოველივე ამის მიხედვით ჩვენ დიდის გულისყურით გვმართებს ამ ქვეყნის თანამედროვე ვითარების გაცნობა და მისი ცხოვრების განვითარების თვალყურის დევნება, რომ ჩვენც არ მოგვიხდეს ერთ დროს გულახდილი აღიარება—შევცდით, ყოველივე ამას არ მოველოდითო. რომ ერთია ის იტალია, რომელიც ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა რომის ძველი ისტორიული ნაშთებისა და მისი ცხოვრების ზერელეთ თვალის გადავლებისა, თუ უცხო ქვეყნებში გაცნობილ იტალიელების მიხედვით, და სულ სხვაა ეხლანდელი აღმდგარი და ამოძრავებული ერი, ამის დაჯერებისათვის არც დიდი კვლევაძიება არის საჭირო და არც დიდი გულთმისნობა. საკმარისი იყო საკუთარი თვალით ხილვა უკანასკნელ წლის განმავლობაში მოხდენილ რომელიმე რადუნატასი და, განსაკუთრებით 5 და 9 მაისისა, როდესაც თავის სამშობლოსა თუ მის გარეშე მყოფნი 50 მილიონი იტალიელი ერთად იყვენ თავმოყრილი სოფლისა და ქალაქის მოედნებზე ერთი სულისკვეთებით ამოძრავებული, ერთი აზრისა და ერთი ნებისყოფით შეპყრობილნი.

(შემდეგი იქნება)

ალ. ასათიანი.

რა მოაქვს დღეგს

საქართველოს საღამო *)

ელიზა ორჟეშკოს სახელობის, მწერლობა-ხელოვნების მეგობართა საზოგადოების მიერ გამართულ არც ერთ ლიტერატურულ საღამოზე არ ყოფილა არასოდეს ისეთი თბილი ატმოსფერო, როგორც უკანასკნელ საღამოზე, რომელიც ეძღვნა საქართველოს, საქართველოს წამებულს, საქართველოს ვერაგულად თავისუფლება-წართმეულს, საქართველოს დედამიწის უმშვენიერეს კუთხეს, საქართველოს, რომლის ისტორია ათასი წლობით უსწრებს ქრისტეს დაბადებას. როდესაც ვისმენდი მომხსენებელ პროფ. ნაკაშიძის მშვენიერს პოლონურს (თუმცა უცხო აქცენტით), რომელიც მოგვითხრობდა თვის მშობელ ქვეყანაზე, მის წარსულზე და ერზე, ვფიქრობდი, რომ ალბად არ მოიპოვება მსოფლიოში სხვა ისეთი ერი, რომელსაც შეეძლოს მოლაპარაკის უკეთესად გაგება, უფრო მძლავრად მისი ტკივილების განცდა, მისი სამშობლოსადმი მეტი თანაგრძნობის გამოჩენა, როგორც შეგვიძლია ეს ჩვენ-პოლონელებს. და მართლაც დღევანდელი ბედი საქართველოსი ეს ხომ პოლონეთის გუშინდელი ბედი არის!

ქართველთა უბედობა, რომელნიც იძულებულნი არიან დღეს უცხო ერთა შორის ეძიონ თავშესაფარი, ეს ხომ უბედობაა ჩვენი 1831 წ. აჯანყების ემიგრაციისა. და თვით მომხსენებელი ეს ხომ ქართველი ძმაა ჩვენი მიცკიევიჩების, სლოვაცკების, მოხნაცკების, რომელთა ხმა იჭრებოდა, ამოძრავებდა ევროპის თავისუფალ ერთა გულსა და სინიდისს.

ამიტომაც ვისმენდით ამბებს გმირულ საქართველოსა და მის რაინდულ ერზე ისე, თითქოს ვისმენდით ჩვენი საკუთარი ისტორიის ამბებს ახლო წარსულიდან. ბ. ნაკაშიძის მოხსენებაზე ჩვენი გული აღსავსე იყო კეთილშობილ თავგანწირულ ერის აუცილებელ გამარჯვების იმავე რწმენით, რა რწმენითაც იმსჭვალებოდენ ჩვენი წინაპარნი პოლონეთის ერის ქურუმ წინასწარმეტყველთა სიტყვების მოსმენის დროს.

ჩვენ—ბედნიერებმა—ვიცით, რომ ასეთი რწმენა ფუჭად არ ჩაივლის. საკუთარ გამოცდილებით გვწამს, რომ აგრეთვე გამართლდება, აღსრულდება მოლოდინი მოძმე ქართველ ერისა.

ამ რწმენას გვიღრმავებს ის მონათესავე მოვლენაც, რომ როგორც ქართველებისათვის, აგრეთვე პოლონელებისათვისაც უცხოა სხვისი ქვეყნის დაპყრობა-მისაკუთრების მისწრაფება.

გამიჯნურებულნი თვის საკუთარ ლეგენდარულ წარსულის, გაგიყვებით მოყვარულნი თავის ქვეყნის და დიად კულტურის, მფლობნი დედამიწის საუკეთესო კუთხისა, რომელიც უხვად დაჯილდოვებულია ყოველგვარი სიმდიდრით და სიმშვენიერით,—ქართველები ნატრობენ თავისუფლებას, რათა შესძლონ დაუბრკოლებლად გაშალონ ფრთები სულიერ და მატერიალურ შემოქმედებისა და მიიღონ მონაწილეობა სხვა ერებთან ერთად მშვიდობიანობის და ცივილიზაციის დამყარებასა და განვითარებაში. ეს კეთილშობილური სურვილები ქართველი ერისა ჩაახშო დროებით იმავე სახელმწიფომ, რომელმაც ოდესღაც თავისუფლება მოუსპო პოლონელ ერს, თავისუფალ საქართველოს მიმართ იხმარა იგივე მეთოდები, რაც დაცემის გზაზე დამდგარ პოლონეთის მიმართ, საქართველოს შვილებისათვის გახდა ის ისეთივე ციხედ როგორც იყო ოდესღაც ჩვენი ერისთვის,—ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოსათვისაც ახლო მომავალში—ისე როგორც ჩვენთვის უკვე—აღმობრწყინდება მზე თავისუფლებისა. ჩვენც ისე, როგორც თავისუფალ საქართველოს, გვარწმუნებდა რუსეთი, რომ გახდებოდა დამხმარე და მოამაგე ჩვენი ერისა, რათა შემდეგ მოულოდნელად თავს დაგვსხმოდა, ყოველივე გაეძარცვა და თავისუფლება წაერთმია. ჩვენც ვერ გამოვდექით ფრთხილნი და წინდახედულნი. ჩვენც ვენდობოდით. დაბოლოს ჩვენც ციხიკურ ვერაგობასთან და მუხანათობასთან მოგვიხდა საქმე. ბედმა, ამ სინამდვილეთა მიხედვით, ბევრი ტანჯვა-წამება გვარგუნა, მაგრამ ბევრი რამეც გვასწავლა. წაგვართვეს, წაგვლიჯეს, რისიც წაღება და გაძარცვაც შე-

*) პოლონურ გაზეთ «Gzodzien. Wiadomosci» დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლებოდა, მაგრამ ვერ წაგვართვეს ის, რაც ერის ცხოვრებაში ყველაზე უძვირფასესია: რწმენა საკუთარ ძალის, რწმენა თვისი დანიშნულებისა და მომავალ ცვლილებებისა.

ამიტომაც გვახარებდა ჩვენ—ბ. ნაკაშიძის მადლიერ მსმენელთ—იმის გაგონება, რომ დიდებათა და დაცემათაგან აქარგულს საქართველოს ისტორიაში, ეს რწმენა არასოდეს მომკვდარა.

ლექტორის წარმტაცი მოხსენების პოლონელ მსმენელთა სიხარული მით უფრო დიდი იყო, რომ დაგვიმტკიცა: დღესაც მონობაში მყოფ ქართველ ერში ეს რწმენა მკვდრეთით აღდგენის და განთავისუფლებისა კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

არ შეიძლება არ დაღონდე, მწუხარებით და ტანჯვით არ აგევსოს გული, როდესაც იცი, რომ ქართველთა მშვენიერ სამშობლოში გრძელდება მუდმივი სისხლის ღვრა თითქმის ყოველ სამწელში განახლებულ აჯანყებათა მიერ გამოწვეული. შეუძლებელია სული არ აშფოთდეს იმის ამბით, რომ გზაზე, ქუჩაში, სახლში, ზღაპრულ მიჯაჭვულ პრომეთეს ქვეყანაში გაისმის ბორკილთა ჩხარუნი...

მაგრამ არის ამაში სასიხარულო საწინდარიც, საწინდარი ქართველი ერის სულის სიძლიერისა. ასეთი სული არ გატყდება, ასეთი სული გაიმარჯვებს. ასეთი სულის მქონე ერი ისტორიის ბორბლებს მძლავრად შემოატრიალებს და გამოუჭედს თვის სამშობლოს ახალს მომავალს.

გაუმარჯოს საქართველოს!

Stanislaw Ziemiak.

პოლონური პრესა

(წერილი პოლონეთიდან)

პოლონური პრესა არის დამოუკიდებელი, არ ემორჩილება გარეშე ზეგავლენას, არ არის აგრეთვე დამოკიდებული «მატერიალურ გავლენისაგან».

აქაური პრესა გამოხატავს სხვადასხვა ჯგუფთა შეხედულებას. ეს შეხედულებანი არ არიან ყოველთვის ყველაფერში ერთნაირნი. მაგრამ არის საგნები, რომელსაც მთელი პრესა ერთნაირად უყურებს. პოლონეთის პრესის განხილვის დროს საინტერესოა ჩვენთვის სამი კითხვის გარკვევა, სახელდობრ ის, თუ როგორ აქვს მას წარმოდგენილი თვისი სამშობლოს ისტორიული როლი, შემდეგ მისი ურთიერთობა საბჭოებთან და კომუნიზმთან და ბოლოს კი მისი დამოკიდებულება ჩვენდამი.

მთელი პრესა განურჩევლად აღიარებს პოლონეთის განთავისუფლებას ყოველგვარ გარეშე, უცხო ზეგავლენისაგან, მოითხოვს ორიენტაციის მხოლოდ და მხოლოდ თავის თავზე. არსებობს ერთად ერთი პოლონეთის სახელმწიფოებრივი ინტერესი და უარყოფილია სამსახური ყოველგვარ სხვა ინტერესებისა.

პოლონეთი უნდა იქნეს ძლიერი, რომ შეასრულოს პირნათლად ის როლი აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ დააკისრა.

საზოგადოებრივ თუ საერთაშორისო საკითხებს პრესა არჩევს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ესა თუ ის მოვლენა პოლონეთისათვისაა სასარგებლო.

საბჭოებისა და კომუნიზმისადმი მიდგომა უეჭველად უარყოფითია. სხვანაირად შეუძლებელიც არის პოლონეთში რომ ყოფილიყო, ვინაიდან როგორც მეზობელი საბჭოების, ის ხედავს ბევრს ისეთს რასმე, რაც გაუგებარი და მიუწვდომელია სხვა შორეულ ქვეყნებისათვის. ყველას შესანიშნავად ესმის, თუ რა არის მოსკოვის ნამდვილი სურვილი და მიზანი, იციან, თუ რას მოუტანს პოლონეთს კომუნიზმი. საერთო საზღვარი საბჭოებთან ხელს უწყობს კომუნისტური საწამლავის საწინააღმდეგო იმუნიტეტის გამომუშავებას.

უარყოფითი შეფასება კომუნიზმისა და საბჭოთა სისტემისა აშკარად სჩანს მთელს პრესაში იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთი ორგანო მსჯელობს მათზე მშვიდობიანი კილოთი, ზოგი კი სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს საბჭოთა წესწყობილებას.

ხშირი მოვლენაა, რომ ახალგაზდობა უფრო მეტის სიმპატიით უყურებს გარეგნულ, მყვირალა ეფექტებით აღსავსეს კომუნისტურს პროპაგანდას, ვიდრე უფროსი თაობა, რომელსაც ცხოვრების გამოცდილებამ ბევრი რამ ასწავლა. პოლონეთში კი ახალგაზდობის პრესაც ასეთივე სიფრთხილე-სიფხიზლით უდგება საკითხს, როგორც დანარჩენი პრესა, ხოლო უფრო მეტის სიძლიერით და თავშეუკავებლად გამოსთქვამს თავის აზრს.

გადავიდეთ ეხლა მესამე კითხვაზე, რაიც ჩვენთვის პირადად ყველაზე უფრო საინტერესოა, სახელდობრ. თუ როგორ უყურებს აქაური პრესა ჩვენს საკითხს.

კავკასიის შესახებ გაზეთებში მოთავსებული მრავალი წერილი აშკარად მოწმობს, თუ რა დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი საკითხი აქ.

მოჰყავთ ისტორიული, სტატისტიკური და გეოგრაფიული ცნობები, აგრეთვე ჩვენი ტრადიციაჩვეულებანი, იწერება ბევრი ჩვენი კულტურის შესახებ, ხოლო ყოველთვის, როგორც მთავარი, ხაზგასმით აღნიშნულია ჩვენი თავისებურება და ის, რომ რუსეთთან გარდა ძალადობისა არა გვაკავშირებს რა, რომ ჩვენ მხოლოდ უხეში ძალის მიერ ვართ დამორჩილებული და როგორც ზედმიწევნით შეგნებული ერი მხნედ ვიბრძვით დამოუკიდებლობისათვის და ამ დამოუკიდებლობის ღირსი ვართ ყოველმხრივ.

მთავარი პუბლიცისტი, რომელიც კავკასიის საკითხებს ხშირად არკვევს, არის ოტმარი, ყოფილი წარმომადგენელი პოლონეთის პრესისა მოსკოვში. ბ ნი ოტმარი შესანიშნავი მცოდნეა კავკასიის საკითხებისა და აგრეთვე დიდი ჩვენი მეგობარიც. მან უძღვნა ფრიად საინტერესო წერილები კავკასიის ერებს, სადაც აცნობს თვის თანამემამულეთ კავკასიას და იმ მუშაობას, რომელსაც იქ საბჭოები აწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოებენ. ყოველთვის მიუდგომლად და ობიექტურად არკვევს საგანს.

უნდა აღინიშნოს, რომ წერილები ბ-ნ ოტმარის იბეჭდება «Gazeta Polska-ში, რომელიც ძლიერ ახლოს სდგას მთავრობის წრეებთან.

სხვა მწერლებიც დიდს ყურადღებას აქცევენ ჩვენს საკითხს. ყოველთვის როდესაც პრესაში ლაპარაკია საბჭოთა ორპირობა-ვერაგობაზე, საქართველოს ბედი არის მაგალითად ნაჩვენები.

საილუსტრაციოდ იმისა, თუ რა ინტერეს იწვევს ყოველივე ჩვენი ნაბიჯი აქ, შეიძლება დავასახელოთ მრავალი წერილი, რომლებიც დაბეჭდეს გაზეთებმა, როცა ჩვენმა დელეგაციამ პოლონეთის დიდი მარშალ იოსებ პილსუდსკის საფლავი გვირგვინით შეამკო. რადიომაც კი ამცნო ეს ამბავი მთელს პოლონეთს. პრესამ რამდენიმე წერილი უძღვნა აგრეთვე რუსეთის ახალს კონსტიტუციას, სადაც იყო აღნიშნული, თუ რა შედეგები მოჰყვება კავკასიის ერთა მდგომარეობისთვის ამ ახალი კონსტიტუციას.

აგრეთვე ფრიად საინტერესო წერილი იყო მოთავსებული გაზეთში საბჭოებსა და ოსმალეთს შორის მონტროში მომხდარ ერთგვარ უთანხმოების გამო, სადაც ნათქვამი იყო, რომ საბჭოები ალბად დაერიდებიან ოსმალეთთან დამოკიდებულების გამწვავებას, ვინაიდან ოსმალეთ რუსეთის საზღვართან მდებარეობს კავკასია, ქვეყანა სავსებით განსაკუთრებული თვისებათა მქონე და არაჩვეულებრივ ეროვნულ შეგნების სიმაღლეზე მდგომი.

დ. შ.

მსოფლიო ბოლშევიზმი

ბერლინში გამოვიდა ფართო ფორმატის ხუთას გვერდიანი წიგნი: «მსოფლიო ბოლშევიზმი». გამომცემელია გერმანიის ანტიკომუნისტური ცენტრალური საპროპაგანდო კავშირის «ანტიკომინტერნის». წიგნი წარმოადგენს კრებულს. 50-მდე ავტორი დედა-მიწის ყველა კუთხიდან აღწერენ ბოლშევიზმის დამანგრეველ მუშაობას თავიანთ ქვეყნებში. წიგნის მთავარი დამამუშავებელი კი არის «ანტიკომინტერნის» თავმჯდომარე დოქტორი ადოლფ ერტი, ავტორი რამდენიმე ცნობილი ანტიკომუნისტური ბროშიურისა («შეიარაღებული აჯანყება, «ტერორი», «ბნელეთის ძალთა აშვება» და სხვ.»). წიგნი დანაწილებულია ხუთ თავად:

I კომინტერნი და დემოკრატიულ-ლიბერალური სახელმწიფოები, II კომინტერნი და ავტორიტარული სახელმწიფოები (ექვსი ევროპიული სახელმწიფო), III კომინტერნი და «დამოუკიდებლობას მოკლებული» ქვეყნები (ახლო და შორეულ აღმოსავლეთში), IV კომინტერნი და საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყნები, V კომინტერნი და საბჭოთა კავშირის ერები.

აშკარაა, სრულიად გამართლებულია და მიზანშეწონილი დანაწილება, რომელსაც წინ მიუძღვის ვრცელი შესავალი «კომინტერნი მოსკოვში», რომლის ავტორად ხელს აწერს: «ანტიკომინტერნი ბერნი ბერლინში». აქ მოცემულია კომინტერნის წარმოშობისა და განვითარების ისტორია და მისი მიზნებისა და ორგანიზაციის ზოგადი დახასიათება. ყურადღებას იპყრობს ორი საინტერესო დიაგრამა: «ორგანიზაციული შენობა მსოფლიო ბოლშევიზმისა», რომელიც წარმოადგენს სამება-ერთარსებას: სახელმწიფოს, პარტიას, კომინტერნს; და «ბაზისი და გენერალური შტაბი მსოფლიო რევოლიუციისა» ანუ «ხროვა სტალინის ირგვლივ», რომელიც თვალხილულ რთულ ფიგურად აყალიბებს მსოფლიო ბოლშევიზმის დირიჟორთა გროვას. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კი ამ შესავალ წერილში არის დამარწმუნებელი დახასიათება ბოლშევიზმის ექსპანსიური, მსოფლიო იმპერიალისტური მიზნების, რომელნიც აშკარად სჩანან როგორც ბოლშევიზმის იდეოლოგიასა და მესვეურთა უამრავ სიტყვებსა და ციტატებში, ისე მოსკოვის წითელი იმპერიალიზმის მთელ საქმიანობაში. აქ შესაფერად აღნიშნულია, თუ რა საშინელ საფრთხეს წარმოადგენს მთელი გარეშემო ქვეყნისთვის ამ ექსპანსიური პოლიტიკის მთავარი ფაქტორი—საბჭოთა წითელი არმია—კომინტერნთან ერთად.

შემდეგ მოდის წერილები თვითეული ქვეყნიდან ზემოაღნიშნული რიგებით. არ შევჩერდებით თვითეულ ქვეყანაზე. ყველა ქვეყნიდან მოცემულია ჩვენი მკითხველისთვის ნაცნობი, თუ ადვილად წარმოსადგენი სურათი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს სურათები დასაბუთებულია თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ფაქტების და დოკუმენტების აღნუსხვით და აგრეთვე მრავალი ფოტოგრაფიით, რომელნიც გვიჩვენებენ ბოლშევიზმის და მისი აგენტების მსხვერპლთ, თუ თვით ამ აგენტებს.

ჩვენი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ცხადია, ის, რაც თვით საბჭოთა კავშირის ერთა ტრაღედიას ეხება. აქ განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ თვითეულ ცნობილ ერზე ცალკე წერილია მოთავსებული: თვით რუსეთზე, უკრაინაზე, საქართველოზე და ასე კარელიამდის, სულ თერთმეტი წერილია. აკლია მხოლოდ სომხეთი, რაც ცხადია სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოზე ოთხგვერდიან წერილს სწერს «დოქტორი ნ. ნაკურაშვილი, ლონდონიდან».

ანტიკომინტერნი თავისი მიმართულებით არის არა მარტო ანტიკომუნისტური დაწესებულება არამედ საერთოდ ანტიმარქსისტული და ანტიდემოკრატიულიც. ამიტომ მისი თანამშრომელი ავტორები ცხადია სოციალდემოკრატიულ მიმართულებებსაც არ სწყალობენ, სთვლიან რა მათ კომუნიზმის მოკავშირეებად. ხშირად მათი რისხვა სამართლიანიც არის, რა თქმა უნდა. მაგრამ მაინც ყველა სოციალდემოკრატიული მიმართულების ერთ დავჯაგში ჩაყრაც ვერ არის ობიექტური მოპყრობა. ამიტომ განსაკუთრებით სხვადასხვა ქვეყნის შვილს ვალია აქ მიუდგომელი ცნობები მიაწოდოს თავის უცხოელ მეგობრებს. აშკარაა თვით ამ უკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასკნელების (თვით ბერლინელი ცენტრის) სურვილი და ინტერესიც არის ეს. მაგრამ სამწუხაროდ ქართველი ავტორი ამ ობიექტიურობის სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. ის ცდილობს თავიდანვე გაილაშქროს ქართველი სოც.-დემოკრატიის და ეროვნული მთავრობის წინააამდეგ: დააბრალოს მათ პოლიტიკას რაც შეიძლება მეტი, შეამციროს მათი ღვაწლი, არ მოიხსენიოს მათი მსხვერპლი და სხვ. თუ კი დანიელ ავტორს შეეძლო ეთქვა, რომ დანიის სოც.-დემ—ია გადაჭით წინააამდეგია კომუნისტებთან საერთო ფრონტის, რატომ არ შეეძლო ქართველს, რომელიც თვით ქართველ კომუნისტ-«უკლონისტებშიც» კი ხედავს პატრიოტულ მიდრეკილებებს, აღენიშნა, რომ ის ქართველი სოც.-დემ-ია, რომელსაც მისივე სიტყვით უმრავლესობა ყავდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, თავგანწირულად იბრძვის სხვა ეროვნულ ძალებთან ერთად კომუნისტების წინააამდეგ და მიაქვს მსხვერპლი ეროვნულ საკურთხეველზე? განა ეს ჩვენი ერის საქმისთვის სასარგებლო არ იქნებოდა? ოკუპანტების მიერ გაქლეტილ ათასებში, რომელთაც ავტორი იხსენიებს, დასახელებულია მხოლოდ და მხოლოდ ოთხი სასულიერო პირი, სხვა კი სრულებით არავინ. განსაკუთრებით სამწუხაროა ჩვენის აზრით ზოგი პატრიოტების მიერ მოდად შემოღებული გაბიაბრუება იმ ხელშეკრულობის მნიშვნელობისა, რომელიც თავისუფალ საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის იქნა დადებული 7 მაისს 1920 წელს. ამას წინედ ერთ-ერთ ცნობილ ბერლინულ გაზეთში დააწერინეს გერმანელ თანამშრომელს: «ეს თითქმის სიტყვა-სიტყვით ისეთივე ხელშეკრულება იყო, როგორიც ერეკლე მეფესა და ეკატერინე მეორეს შორის დადებულიო» (გამოდის თვითვე მიგვიღია ხელახლა რუსეთის პროტექტორატი და რუსეთსაც ბევრი არაფერი დაუშავებია, რომ ჩვენში ხელახლა შემოჭრილა!..). ბ. ნიკურაშვილის წერილსაც ამჩნევია ასეთივე მავნე ტენდენცია, როცა მას მოყავს პროფ. ავალიშვილის სიტყვები: «ფაქტიურად ეს ხელშეკრულობა მოსკოვის მთავრობის პოლიტიკური ჰეგემონიის მიღება და ევროპის ორიენტაციაზე უარის თქმა იყოვო». მტრის დანაშაულის ასეთი შემჩატება ვერაფერი პატრიოტიზმია...

მაგრამ წერილში, რაც უნდა იყოს, აღნიშნულია ქართველი ერის ტრაღედია და ის საერთოდ მაინც დადებით მოვლენას წარმოადგენს.

სხვა შრომებიდან აღსანიშნავია აზერბაიჯანელი მეგობრის ჰილალ მუნშის და თურქესტანელის დოქტორ შაქირის წერილები.

მთელი წიგნი წარმოადგენს მდიდარ მასალას და მძიმე საბრალდებულო ოქმს მოსკოვის ტირანიისა და იმპერიალიზმის წინააამდეგ.

ნ. ი.

წერილი ამერიკიდან

ამა წლის ივნისი შეერთებულ შტატებში პოლიტიკურად მეტად შფოთიანი თვე იყო. ოთხ პოლიტიკურ პარტიას: რესპუბლიკანელებს, დემოკრატებს, სოციალისტებს და კომუნისტებს, ჰქონდათ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქალაქებში თავისი კრებები. ამ კრებებზე, რომელნიც ყოველ მეოთხე ზაფხულში იმართება, ირჩევენ საპრეზიდენტო კანდიდატს და მის თანაშემწეს, ადგენენ და აცხადებენ პარტიულს პლატფორმას, წარმოსთქვამენ პარტიის ხაზის გამაშუქებელ სიტყვებს და ოფიციალურად პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია იწყება (პრეზიდენტის არჩევა ხდება ნოემბრის პირველ სამშაბათს).

მარსის მცხოვრებს რომ ყური დაეგდო აქაური ორი უმთავრესი პარტიებისთვის (რესპუბლიკანელების და დემოკრატების), ვერ გაარჩევდა, თუ ისინი ერთ და იმავე ქვეყანაზე ლაპარაკობდენ. რესპუბლიკანელები ხატავდენ გასული სამი ნახევარ წლის მართველობის მოქმედებას როგორც ქვეყნის დამღუპველს და გამანადგურებელს. პრეზიდენტ რუზველტს აბრალებდენ «სოციალისტობას», «კომუნისტობას», «დიქტატორობას» და სხ.

დემოკრატები კი პირიქით ამტკიცებდენ, რომ ქვეყანა იღუპებოდა ჰუვერის და რესპუბლიკანელების მეოხებით, მაგრამ ჩვენ ვიხსენითო, და თუ ახლა რესპუბლიკანელებს ჩაუვარდა ხელში მართველობა, უთუოდ დაიღუპებაო... ამ უკანასკნელ დრომდი კი, როგორც ერთმა მწერალმა სთქვა, მხოლოდ მშობელ დედას თუ შეეძლო გარჩევა, რომელი იყო რომელიო.

დღეს ეს განსხვავება პრეზიდენტ რუზველტის ადმინისტრაციის ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, «ნაციონალურ რეკონსტრუქციის აქტის» (ნ. რ. ა.) წყალობით არსებობს. ამან გაჰყო მთელი ქვეყანა ორად. ამ აქტს თავიდან გამოუჩდა როგორც მომხრენი ისე მოწინააამდეგენი არამც რესპუბლიკანელებში, არამედ თვით დემოკრატებშიც. და დღეს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ უმეტესობა ხალხისა მომხრეა თუ არა ამ პოლიტიკურ-ეკონომიური მოძღვრების...

მართალია, ეს აქტი, რომელიც მოითხოვდა მინიმუმი ხელფასის დამკვიდრებას და მაქსიმუმი დროს განსაზღვრას და რომელსაც სხვა აქტებიც მოჰყვა და უფრო ღრმა აზრი მიეცა,—ეს აქტი უმაღლესმა სასამართლომ ერთი წლის წინედ უკანონოდ გამოაცხადა (იხ. «დამ. საქ.» № 116), მაინც მთავრობამ უკან არ დაიხია; დემოკრატების პარტია ლამობს, ამ დადგენილებას შეებრძოლოს, კონსტიტუციის მუხლი შესცვალოს, რომ უმაღლეს სამსაჯულოს არ შეეძლოს კონგრესის დადგენილების უკანონოდ გამოცხადება...

რესპუბლიკანელების პარტია კი ხედავს ამაში კონსტიტუციის დარღვევას, ქაოსის მოტანას. განსაკუთრებით, ჭირნახულის მოყვანის და საქონლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშენების შეზღუდვაში და ამის მაგივრად სახელმწიფო ფულის გაღებაში; ამიტომ აპირებს, თუ გაიმარჯვა, რუზველტის «სოციალისტური რეფორმები» შესცვალოს, «ფულის გაფლანგვა» შეაჩეროს (ახლა 35 მილიარდი ვალი აქვს) და თავისი ინდივიდუალური გეგმა დაუპირდაპიროს.

კრებებზე ყველა პარტია ცდილობდა თავისი ინდივიდუალობა არ დაეკარგა, მაგრამ მასთან პროგრამაში რამე ახალი შეეტანა, რომ დროის მიხედვით ფართო მასისთვის მისაღები ყოფილიყო.

ამერიკის კრებები ცოტად წააგავენ ევროპიულს. უმთავრესი განსხვავება იმაშია, რომ ამერიკული კრება უფრო კომიკურია ვიდრე ტრაღიკული. საერთოდ ამერიკელებს არ უყვართ ტრაღედია. ამერიკის აუარებელ სცენებსა და სინემებში ტრაღედიას ცოტას ნახავთ და ისიც ბოლოს ყველა თავდება კარგად, თუ ის ინგლისიდან შემოტანილი არ არის, და ხალხი მხიარული ბრუნდება სახლში. ასეა კონფერენციებზედაც. მონაწილეთა უმრავლესობას უნდა გართობა. ეს პატიოსან და სერიოზულ ადამიანთა კრება (თითქმის კონგრესის ყველა წევრი და გუბერნატორები ღებულობენ მონაწილეობას) ხუმრობაზე გადადის და დიდ ცირკს მოგაგონებთ. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი ისახელა ამ წელს დემოკრატების კონფერენციამ, რომელიც იყო გამართული ქალაქ ფილადელფიაში.

დემოკრატების დელეგატებს შეადგენენ 1500 კაცი და ქალი, რომელთაც ირჩევს ყოველი შტატი და სამფლობელო პროპორციონალურად მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით. ეს დელეგატები ასახელებენ საპრეზიდენტო და მის თანაშემწის კანდიდატებს (თანაშემწეს უმთავრესი ფუნქცია არის სენატის თავმჯდომარეობა) არა ერთად, არამედ ცალ-ცალკე თითოეული შტატი. ერთი რომელიმე პრივილეგიური შტატი ასახელებს თავის ან საერთოდ მისაღებს კანდიდატს, დანარჩენი შტატები თითო თითოდ მხარს უჭერენ, ან საკუთარს კანდიდატს ასახელებენ.

თითქმის ყოველ შტატის დელეგატებს ყავთ (ხშირად დაქირავებული, თუ თვითონ არ შეუძლიათ) თავისი მუზიკანტები, მომღერლები, მყვირალები, მსტვინავები და სხვანი, ვინც მხიარულად ასრულებენ მანიფესტაციას საჭიროების დროს. მაგალითად როცა პრეზიდენტი რუზველტი იქნა საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებული, კრების მანიფესტაცია გაგრძელდა ერთი საათი და ოთხი წუთი. ყოველი შტატი თავისი დროშებით და პლაკატებით, სხვა და სხვა წარწერებით დაინძრა თავისი ადგილიდან და რამდენიმეჯერ შემოიარა დარბაზი. თითქმის ყოველი შტატის დელეგატის მოქონდა რამე ჭირნახული, რითაც ის შტატი განთქმულია, მაგალითად, სიმინდი—აიოვას, თამბაქო—გეორგიას, ბამბა—ტექსას და სხვა... პროცესიას წინ უძღოდა ლამაზად შეკაზმული ვირი მხედარ ქალით. ვირი დემოკრატების ემბლემაა, რესპუბლიკანელების—სპილო. ეს ვირი ყოველ დღე შემოყავდათ მნიშვნელოვან და პათეთიურ მომენტების დროს სხვადასხვა მხედარით. ვირს უკან მისდევდა ოქროს ფერად გამოწყობილი ახალგაზდა მომღერალ ქალების გუნდი. ექსტაზში შესული მანიფესტანტების ხმაურობა, სიმღერა, წივილ კივილი უმაღლეს წერტილამდე აღწევდა. განსაკუთრებული ხმაურობის მზომავი მანქანა («დემონსტრონომეტრი»—სიცხის საზომავის მსგავსია) 100 მდე მივიდა. რესპუბლიკანელების კრებაზე 85-ზე ზევით არ ასულა. ნიუორკის მოძრავი ქუჩის უმაღლესი ხმაურობა 80-მდე ადის, საშვალო 40...

დემოკრატების კონფერენციას ერთი უმნიშვნელო ტრაღი-კომიკური მოვლენა ჩაეწვეთა. კრების ყოველი დღიური სხდომა ლოცვით იწყება. ლოცვას რიგ-რიგად ამბობენ ყველა რჯულის წარმომადგენელნი: პრესბიტერიანი, კათოლიკე, ებრაელი და სხვა. ერთ დღეს, როცა შავკანიან (ნეგრი) მღვდელს მისცეს რიგი და მან ლოცვა დაიწყო, სამხრეთ კარალინის შტატის დელეგატმა დემონსტრატიულად ამოიღო თავისი დელეგატობის ბარათი, იქვე ყვირილით დახია და ყველა თავისი შტატის 15 დელეგატით დარბაზი დატოვა (განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკის მცხოვრებთ სძულთ თავისი ნაყმევი შავკანიანები და მათთან თანასწორობას არ კადრულობენ)...

დემოკრატების კონფერენცია მეხუთე დღეს გათავდა პრეზიდენტად რუზველტის და მის თანაშემწედ გარნერის დასახელებით. პრეზიდენტმა ბოლოს «მისაღები» სიტყვაც წარმოთქვა (ძველი წესით ეს რამოდენიმე კვირის შემდეგ ხდება)...

რესპუბლიკანელების კონფერენცია შესდგა ქალაქ კლივლანდში, თუთხმეტ მილიონიან შენობის დარბაზში, 1.003 დელეგატით. მაყურებელთა რიცხვი ოცი ათასამდე იყო. შესავალი ბილეთის ფასები სპეკულაციამ ისე ასწია, რომ ხშირად ას დოლარს იხდიდენ, ამბობენ, ვიღაცამ ათასი დოლარიც მისცა ბილეთშიო.

წესი კრების ერთი და იგივეა. მხოლოდ აქ ნაკლები მასხრობა იყო. რესპუბლიკანელების ემბლემა—სპილო არ იყო გამოყვანილი და განსაკუთრებული მოცეკვავე ქალებიც არ გამოსულან. საპრეზიდენტო კანდიდატად ერთხმად აირჩიეს კანსას შტატის გუბერნატორი ალფრედი ლანდონი. ის 49 წლისაა, პროგრესიული რესპუბლიკანელი, პოლიტიკაში თითქმის უცნობი, მაგრამ სახელი გაითქვა თავის შტატის ბიუჯეტის მოწესრიგებით, რაც ახლანდელ დროში აქ არა ხშირია. ლანდონის თანაშემწედ ერთხმად იქნა არჩეული ჩიკაგოს გაზეთი «დეილი ნიუს»-ის გამომცემელი ფრანკი ნოვსი, სამოცი წლისა, პოლიტიკაში კარგად ცნობილი.

სოციალისტების მხრივ საპრეზიდენტო კანდიდატად ნორმანი თომასი იქნა წამოყენებული, რომლის პოპულიარობა დაზიანდა მას შემდეგ, რაც მან აქტიური როლი ითამაშა ამ წელს პარტიის განხეთქილებაში. ამ პარტიამ უმაღლეს წერტილს მიაღწია 1912 წელში, როცა მისმა მოხუცმა და პოპულიარულმა კანდიდატმა ევგენი დებსმა მილიონამდე ხმა მიიღო.

კომუნისტებმა დაასახელეს ერლი ბროუდერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მის თანაშემწედ შავკანიანი (ნეგრი) ჯეიმსი ფორდი. ბროვდერმა განაცხადა, ჩვენ უნდა შევქნათ საკუთარი დიდი მუშათა და ფერმერთა პარტიაო, მაგრამ ეჭვი შეუვიდა ამაში და დაუმატა: ყოველ შემთხვევაში ვეცადოთ, ლანდონი დავამარცხოთო, თუმცა რუზველტიც არ არის სახეირო, რადგან ის მარჯვნით იხევსო...

ამ წელს კიდევ ერთი მოვლენა ხდება პოლიტიკურ სფეროში. ეგრედ წოდებული «მესამე პარტია» გამოდის სცენაზე. როცა ამ «მესამეზე» ლაპარაკობენ, სოციალისტები და კომუნისტები არ ყავთ სახეში (1932 წელში სოციალისტების კანდიდატმა ნორმან თომასმა ნახევარი მილიონი ხმა მიიღო, კომუნისტებისამ—მხოლოდ ასი ათასი).

მესამე პარტიის მოვლენა ამერიკის პოლიტიკაში სპორადულია. ის არაერთხელ გაჩენილა. მაგალითად, 1924 წელში ლიბერალ-რესპუბლიკანელმა სენატორმა ლაფალეტმა გამოაცხადა თავის კანდიდატურა მესამე პარტიის სახელით და ხუთ მილიონზე მეტი ხმა მიიღო. მაგრამ ეს «პარტია» არ იყო, მას შეადგენდენ უკმაყოფილონი სხვა პარტიებისა და არჩევნების მერე დაიშალნენ.

ახლა ისევ «მესამე პარტია» არსდება ზოგიერთ გავლენიან პიროვნების მეოხებით. ასეთნი არიან: განსვენებულ პიუი ლონგის მიმდევრები—«ეზიარე სიმდიდრეს» მქადაქებელნი (იხ. «დამ. საქარ.» 118), ექიმი ტოუზენი, რომელიც ორასი დოლარის პენსიას ჰპირდება თვიურად ყველას. ვისაც სამოცი წელი შეუსრულდა («დამ. საქ.» 122), და მესამე კათოლიკე მღვდელი კონგლინი. ეს უკანასკნელი მეტად პოპულიარულია მდაბიო კათოლიკე მასსაში. მისი მეტი სახელია «რადიოს მღვდელი», რადგან რამდენიმე წელიწადია ხშირად ჰქადაგებს რადიოთი პოლიტიკურ-ეკონომიურ საგანზე. ამბობენ «მილიონობით» ყავს მიმდევრებიო. ამ «მესამე პარტიის» საპრეზიდენტო კანდიდატად გამოდის მემარცხენე რესპუბლიკანელი სენატორი ვილიამ ლემკე.

საეჭვო არაა, რომ ამ ხუთი პარტიიდან მხოლოდ ორს აქვთ შანსები პრეზიდენტობისა: დემოკრატებს და რესპუბლიკანელებს. ან ისევ რუზველტი ან ლანდონი. რომელი იქნება—ამის თქმა დღეს ნაადრევია. ძალები არ არის ჯერ ჩამოყალიბებული, საგიტაციო კამპანია არ დამთავრებულა. პარტიულ რესპუბლიკანელებს გარდა ლანდონი მოსწონს უპარტიო ინტელიგენტურ მასას, ბაჟის გადამხდელს, მესაკუთრეს და დიდ იმედებს ამყარებენ—«დასავლეთის კულიჯიაო». განსვენებული კულიჯის (აღმოსავლეთ შეერთებულ შტატებიდან იყო) ადმინისტრაცია დარჩა ისტორიაში, როგორც სიმბოლო მომჭირნეობის, ეკონომიის, წინაამდეგი რუზველტის —«გამფლანგველის» (35 მილიარდი დოლარის სახელმწიფო ვალიდან 13 მილიარდი რუზველტის სამი წლის მართველობას ეკუთვნის).

რუზველტის ძალა უმეტესად მუშა და უმუშევართა მასაშია, ვინც დღეს ფედერატულ კასიდან შემწეობას ღებულობს. რესპუბლიკანელები ამაზე უთითებენ: ეს სისტემა შტატების უფლების უზურპაციას წარმოადგენს და ევროპიულის მსგავსად ვაშინგტონის მთავრობა ხელში იკრებს ძალასო, რაც მას დიქტატორობისკენ მიიქანებსო. ამერიკის თავისუფლება კი დეცენტრალიზაციაში არისო. უმუშევართა რჩენა ცენტრალურ მთავრობის მიერ მისთვის ხმის მიცემას ნიშნავსო.

ამბობენ, თუ «მესამე პარტია» მაგრად გამოვიდა, რუზველტს მეტ ზიანს მიაყენებს, ვიდრე ლანდონსაო.

ამასთან, ზოგი ბელადი და მათი მიმდევრები ჩამოშორდენ დემოკრატებს. მაგ. ძველი დემოკრატი და რუზველტის მეგობარი რამდენიმეჯერ ნიუ-ორკის შტატის გუბერნატორად ნამყოფი ალფრედი სმითი (იხ. «დამ. საქ.» 121), პრეზიდენტ ვილსონის დროს საგარეო მინისტრად ნამყოფი ბ. კოლბი, გეორგიის გუბერნატორი ტალმაჯი და სხვები.

—

«მოსკოვის კონსტიტუციის» გამოცხადებამ აქ სულ ცოტა ყურადღება მიიქცია. კომუნისტებს და მათ მომხრეებს სირცხვილი აჭამა. ამ აქტმა ურწმუნოთ კიდევ ერთჯერ საჯაროთ დაუმტკიცა, რომ «პირველ სოციალისტურ» ქვეყანაში არავითარი სოციალიზმი არ ყოფილა; არავითარი უფლება და თავისუფლება იქ არ სუფევდა.

არა მომხრენი ფიქრობენ, სანამ დღევანდელი მართველობა არის სათავეში, ეს «კონსტიტუცია» არ განაღდებაო. ყველაფერი ეს ხრიკიაო: ერთი რომ გარეშე ქვეყნებს აჩვენონ თითქოს ცივილიზაციური ქვეყანა ხდებაო. მეორედ,—უნდათ შინ «ქვეშემრდომლების» გული მოიგონ, ვინიცობაა ომი მოხდეს, მათი წინაპრებივით ზურგიდან არ გვიღალატონო. საეჭვოა, ან ერთი ან მეორე მოატყუონო...

—

«ნიუორკის ტაიმსი» ვაშინგტონიდან ცნობებს იძლევა, რომ ამერიკის მოსკოვში მყოფი და იქ მართველთა მეგობარი ელჩი ვ. ბულლიტი თავის თანამდებობას თავს ანებებსო. მიზეზი არის მისი «იმედების გაცრუებაო». მან დიდძალი დიპლომატები და ტექნიკოსები წაიყვანა მოსკოვში იმის იმედებით, რომ ფართო აღებმიცემა და დიპლომატიური დამოკიდულება გაიმართებაო. ეს ყველაფერი ფუჭი გამოდგა. სხვადასხვა უსიამოვნო მოვლენებმა თავი გამოყო: ძველი ვალის მოწესრიგება ჩაიშალა; მკვეთე გაფრთხილება მივეცით, რომ რევოლუციონურ პროპაგანდაზე აქ ხელი აეღოთ და სხვაო. ბევრი ხანია ჩვენი ელჩი არაფერს აკეთებს საბჭოების ქვეყანაში და გასაკეთებელიც არა აქვს რაო. ის მოსკოვს გაურბის, ან ევროპიულ ქვეყნებშია და ან შეერთებულ შტატებშიო... მისი სამუდამოთ მოსკოვიდან წასვლა ლოღიკურიაო *)...

ნაური.

---

*) როგორც მკითხველმა უკვე უწყის, ბულლიტი პარიზში იქმნა გადმოყვანილი.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის დელეგაცია კრაკოვში

13 მაის 1935 წ. მარშალ პილსუდსკის გარდაცვალების მეორე დღეს მომხდარ კავკასიის კოლონიის პასუხისმგებელ პირთა სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქართველი კოლონიის თავმჯდომარე ბ. კ. იმნაძე, დადგენილ იქნა კავკასიის ერთა უდიდეს მეგობრის მარშალ პილსუდსკის ცხედრის ვერცხლის გვირგვინით შემკობა. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად სხდომამ გამოყო სპეციალური კომისია. კომისიამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და პოლონეთში მყოფ კავკასიელთა შორის შეგროვილი თანხით მშვენიერი გვირგვინი დაამზადა.

გვირგვინი ჩამოსხმულია წმინდა ვერცხლისაგან და შემდეგ ხელით მხატვრულად შესრულებული. შუაში ჩაჭედილია ადერბაიჯანის, მთის და საქართველოს ეროვნული დროშები «ემალზე» და თან ახლავს შესაფერისი ტექსტი სამ ენაზე.

მიმდინარე წლის 20 ივნისს კავკასიის დელეგაცია გაემგზავრა კრაკოვში მარშალის საფლავზე აღნიშნული გვირგვინის დასადებად. დელეგაციაში შედიოდენ: ბ.ბ. 1) კ. იმნაძე, 2) გენ. ალ. ზაქარიაძე, 3) პოლკ. ისრაფილოვი, 4) პოლკ. ხურში, 5) პოლკ. კაზუმ ბეი, 6) პოლკ. კ. კიკვიძე, 7) გ. ნაკაშიძე, 8) მაიორი კუმუსი, 9) როტმისტრი დ. შალიკაშვილი, 10) მღვ. გრ. ფერაძე, 11) მუს. ვექილი, 12) ბაიტუგანი, და 13) ალი ბეი.

დელეგაციამ შეამკო რა მარშლის კუბო გვირგვინით და აქტით, გაისმა გენ. ალ. ზაქარიაძის მხედრული ბრძანება: «სმენა», რასაც მოყვა მღვ. გრ. ფერაძის ქართულად მოკლე ლოცვა. ამ ცერემონიას ბლომად დაესწრენ პოლონელები და ადგილობრივი პასუხისმგებელი პირები, რომლებზედაც ამ სცენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

კრაკოვის და ვარშავის გაზეთებმა მოათავსეს დელეგაციის და გვირგვინის ცალკე სურათები და წარუმძღვარეს თბილი წერილები კავკასიას და მის განაწამებ ბედს.

ამის შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა სოვინეცში მარშალის გორაკის დასათვალიერებლად და მიწის დაყრაში მონაწილეობის მისაღებად. საღამოს დელეგაცია მატარებლით ვარშავაში დაბრუნდა.

ყ რ ი ლ ო ბ ა

აზერბაიჯანის სახალხო პარტიის «მუსავატის»

მიმდინარე წლის ივლისის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა აზერბაიჯანის სახალხო პარტიის «მუსავატის» უცხოეთში არსებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა.

ყრილობამ მოისმინა რა პარტიის ლიდერის რასულ ზადეს მოხსენება, სავსებით დაადასტურა პარტიის გენერალური ხაზი, რაიც გამოიხატება აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის შეურიგებელ ბრძოლაში; კავკასიის კონფედერაციის იდეის დაცვაში და რუსეთის იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ერებთან მჭიდრო კავშირის ქონაში.

ამასთან ერთად ყრილობამ გამოიმუშავა ახალი პარტიული პლატფორმა და კავკასიის კონფედერაციისათვის ბრძოლა გარკვეულ პუნქტად შევიდა პარტიის პოლიტიკურ მოთხოვნილებათა სისტემაში.

ახალი პარტიული პლატფორმა აღიარებს კერძო საკუთრების პრინციპს და ვაჭრობის თავისუფლებას; ამავე დროს იგი ცნობს სახელმწიფოს უფლებას ჩაერიოს სხვადასხვა ჯგუფთა ინტერესების ბრძოლაში ეკონომიურ ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით. კლასთა ბრძოლას პარტია უარყოფს, სამაგიეროდ პარტია აღიარებს ნაციონალურ ერთობის და საზოგადოებრივ სოლიდარობის პრინციპს.

სასოფლო მეურნეობაში პარტია მოითხოვს გლეხებისათვის უფასოდ მიწის დარიგებას და წვრილი წარმოების დაცვას; სამრეწველო მუშების დაინტერესებას მრეწველობის მოგებაში და მათ ეკონომურ-ტექნიკურ მართვაში. შრომა დაცულია კანონით, მზგავსად ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებისა.

ტაქტიკურ საკითხთა შორის პარტია აყენებს: რუსულ ბოლშევიკურ თაღლითობის მხილებას, აზერბაიჯანის საკითხის პოპულიარიზაციას მსოფლიოში, კავკასიის ხალხების ინტერესებით ხელმძღვანელობას და სხვ.

ყრილობამ აირჩია პარტიული ხელმძღვანელობა «მდივან»-ის სახელწოდებით.

დაბოლოს ყრილობამ მოწოდებით მიმართა აზერბაიჯანის ხალხს.

სოლომონ (სიკო) ალიმბარაშვილი

ამა წლის აგვისტოს 19-ს, ქ. მონპელიეს ლაენეკის სახელობის კლინიკაში, გარდაიცვალა ქართველი პოლიტიკური ლტოლვილი, 32 წლისა, მცხოვრები სოფ. ახალ-ქალაქის (გორის მაზრა) სიკო ალიმბარაშვილი.

სიცოცხლით აღსავსე სიკოს, სრულიად მოულოდნელად, ფილტვების ჭლექის ნიშნები აღმოაჩნდა. ავადმყოფობამ, თითქმის, ხუთი თვე გასტანა და მთელი ამ ხნის განმავლობაში უბედური სიკო უშედეგოთ ებრძოდა სიკვდილს. მიუხედავად, მიღებული ზომებისა, საშინელ სენმა თავისი გაიტანა და უცხოეთის ცის ქვეშ, კიდევ ერთი მორიგი საფლავი გაითხარა.

1921 წ. ჯერ კიდევ 17 წლისა არც კი იყო სიკო, როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო; საკუთარ თვალით იხილა მან ვერაგი მტერი, რომელიც საყვარელ სამშობლოს პატიოსან ღირსებას უგინებდა და მიწა-წყალს კი უტიალებდა. სიკოს ჭაბუკ ბუნებას მტრის წინააღმდეგ ბრძოლა სწყუროდა, ის გლეხია, უსწავლელი, მაგრამ შეგნება მამულის დაცვისა, ისეთივე აქვს, როგორც განათლებულ მამულიშვილს და 1924 წელს, როდესაც ქართლ-კახეთში ეროვნული რაზმები ამოქმედდენ, სიკო არ აყოვნებს, მან დასტოვა თავისი კერა, მოხუცი მშობლები, აი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხა იარაღი და პატიოსან მებრძოლთ შეუერთდა; შას სამშობლო უყვარდა და განსაცდელში მყოფი ქვეყნის ბედი მანაც გაიზიარა; შინაური და გარეული მტერი მიზანში ამოიღო, მაგრამ აჯანყება დამარცხდა. საქართველოს ეროვნული სხეული ერთ ხელ კიდევ დაისერა, მტერი ლხენას მიეცა, ქვეყანა კი გლოვით აივსო; ეს ის დროა, როდესაც სიკო, სხვებთან ერთად, იძულებული ხდება სამშობლოს დროებით მაინც დაშორდეს, ვიდრე მოვალეობა კიდევ მოიხმობდეს, რომ ვით ერთგული ჯარისკაცი სამშობლოს ხსნას შეეწიროს.

დიდი ამბების მოლოდინში მაგარი სხეულიც დაიქანცა. ათასი გაჭირვება და უბედურება, მიზეზი გახდა მისი დაავადების. მაგრამ ავადმყოფ სხეულმა ვერა დაიკლო რა მის კეთილშობილურ ქართულ სულს, აზრს და შეგნებას; მისი უკანასკნელი დღეები სავსე იყო, როგორც მუდამ, მშობლიური რწმენით. შას არ უნდოდა სიკვდილი ისე, რომ მასთან უკანასკნელ წუთებშიაც არ ყოფილიყო ქართველი ადამიანი. ეს სურვილი შეუსრულდა კიდეც. «ჩვენებური წყარო და ნიავი... ქართული მიწა... სამშობლო საყვარელი...» აი ეს სიტყვები ღა ისმოდა სიცხის ალში გახვეულ სიკოსაგან. მას სურდა ერთხელ კიდევ დასწაფებოდა ჩვენებურ წყაროს, წყაროს სიცოცხლისა და თავისუფლებისას, მაგრამ ულმობელ სენმა სიცოცხლეს მაინც გამოასალმა და ნატვრა ქართული მიწისა საფრანგეთში გათხრილ საფლავში ჩაიტანა.

სიკო დაკრძალულ იქმნა 21-ს ქ. მონპელიეშივე წმ. ლაზარეს სასაფლაოზე. ღრმად დამწუხრებულ ნაცნობ-ამხანაგებმა, ჯერ კიდევ ახალგაზდა სიკო, ღირსეულ პატივისცემით მიაბარეს ცივ სამარეს.

მადლიერი სამშობლო წამებულ შვილთა შორის სიკოსაც მოიხსენიებს. დ. ხ.

ამ ნომრისთვის დამზადებული წერილი ხ. შავიშვილისა «საქართველო ორ კონგრესზე» უადგილობისა გამო გადაიდვა შემდეგისთვის.

ქართული სამეცნიერო წრე პარიზში

ეს წრე დაარსდა 1934 წლის აპრილში. მისი მიზანი არის სხვადასხვა საკითხების ობიექტური თვალსაზრისით განხილვა; საამისოთ იგი ცდილობს—მომხსენებელთა წახალისებით და აუდიტორიის შერჩევით—შეჰქმნას ის სულიერი ატმოსფერო, რომელიც ყოველი კულტურული მუშაობის აუცილებელი პირობაა; წრე სრულიად აპოლიტიკურია და იგი ფართედ ულებს კარებს ყველას, ვისაც კი შეუძლია ვიწრო ჯგუფურ მიკერძოებას თავი დააღწიოს და საკითხი წმინდა მეცნიერულ თვალსაზრისით განიხილოს;

წრეში წაკითხულ იქმნა მისი დაარსების პირველ დღიდან დღევანდლამდე შემდეგი მოხსენებანი:

1) ა. შათირიშვილი: მარქსისტული თეორია და მისი შეფასება; სამშობლოს ნატვრა (ფსიქოლოგიურ-ექსპერიმენტული ცდა); ენის საზოგადოებრივი მნიშვნელობა; ერი და კლასი ანთროპო-სოციოლოგიის თვალსაზრისით; პიროვნების განვითარების სტადიები. 2) შ. კალანდაძე: თვითმკვლელობის შესახებ. 3) ი. ხოჭოლავა: ერი და რასა. 4) რ. გაბაშვილი: ინგლისის აღმოსავლური პოლიტიკა. 5) ი. ხანანაშვილი: ქართველი ისრაელები ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. 6) ა. მანველიშვილი: საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან. 7) გ. ყურული და ს. ფირცხალავა: მოგონებანი. 8) ის. მანწკავა: დღევანდელი ქართული ლიტერატურა.

მომხსენებელთა გარდა წრის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა (თავმჯდომარეობის გაწევით თუ კამათში ჩარევით) ბ.ბ. ა. ზურაბიშვილმა, შ. ამირეჯიბმა, ა. კობახიძემ, ი. გობეჩიამ, შ. კალანდაძემ, გ. ყიფიანმა, კ. გვარჯალაძემ, ვ. ინწკირველმა, გ. მოდებაძემ, ა. ასათიანმა, რ. არსენიძემ, დ. ვაჩნაძემ, ე. პატარიძემ, ნ. ურუშაძემ, ფ. შარაძემ, გ. ლომაძემ, გ. ნადარეიშვილმა, გ. ჯაყელმა, ხ. შავიშვილმა, პროფ. ზ. ავალიშვილმა, ი. ნუცუბიძემ და სხვებმა.

ქართველები საფრანგეთში

ამა წლის 11 ოქტომბერს, სამ საათზე:

5 რიუ ლას კაზ. სოციალური მუზეუმის დარბაზში, შესდგება საფრ. მყოფ ქართვ. ასოციაც. საზ. კრება ასოციააციის გამგეობის ასარჩევად.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დაგვისტამბოთ შემდეგი წერილი:

შევარდენის კარვედის გუნდი ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მის მიერ გამართულმა ექვსმა საღამომ დასტოვა წმინდა შემოსავალი 2.316 ფრ. 20 სანტ.—კარვედის სექციის სურვილი იყო შეეძინა კარავი და საზაფხულო დასვენებისათვის გაეგზავნა შევარდენის აქტიური წევრები. მაგრამ, ვინაიდან წელს ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა ამის განსახორციელებლად, ამიტომ გამგეობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მომავალ ზამთარში მოწყობილ საღამოების შემოსავალის დამატებით, აღასრულოს მის მიერ დასახული მიზანი შემდეგი ზაფხულისათვის.

კარვედის გუნდის გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს ქართველ საზოგადოებას, რომელიც ესწრებოდა მის მიერ გამართულ საღამოებს, და მეტადრე იმ ოჯახებს და კერძო პირებს, რომლებმაც გაიღეს შრომა და ნივთიერი დახმარებაც.—ოქტომბრიდან დაიწყება საღამოების გამართვა და იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება კვლავ გულუხვობას გამოიჩენს ამ კეთილი საქმის განსახორციელებლად.

შევარდენის კარვედის გუნდის
მდივანი მ. ნიკოლაძისა.
მოლარე ლ. ნოზაძისა.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.* Le Gérant : A. LARGILLIÈRE.